



შვინდის დროებით  
გავაბიჯებ ყოფილ მოედანს

ედვნება საქართველოს დამფუძნებელი კრების 100 წლისთავს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**შვინდის დროებითი გავაზიკება ყოფილ მოედანს**

(ქართველი პოეტები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას)



თბილისი 2019

UDC (უაკ) 821.353.1-1

შ - 664

მთავარი რედაქტორი და შემდგენელი **ნინო სიხარულიძე**  
რედაქტორი **მაია შონია**

ყდაზე: ლადო გუდიაშვილი, „აღდგომა“, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წელი.

ISBN 978-9941-9640-0-8

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019

## სარჩევი

<b>ემზარ ჯგერენაია</b> წინათქმა	11
<b>დარია ახვლედიანისა</b> შენ	13
<b>ა. ახნაზაროვი</b> ვეხიბ-ფაშას სიმღერა	15
<b>ქაიხოსრო ბახუტაშვილი</b> ამირანი	16
<b>დ. გაბრუაშვილი</b> 26 მაისი	20
საქართველოს მაისი	21
<b>გელა</b> 26 მაისი	22
<b>აეტი გენაძე</b> შავი გველი	23
<b>ვ. გორგაძე</b> თბილისი	24
<b>გვარდიელი პლატონ გურული</b> სამშობლოს დამცველებს	25
<b>მის. დევაძე</b> ზეიმზე	26
<b>სტუდ ბაგრატი ბ. დეისაძე</b> 26 მაისს	27
<b>მუშა პ. დვანელი</b> მაისის 26	28
<b>დ. დოლიძე</b> ოცდა ექვსი მაისი	29

<b>ს. ერთაწმინდელი</b>	
26 მაისი 26	30
<b>ი. ვადაჭკორია</b>	
გაუმარჯოს საქართველოს	31
<b>ი. ვაზი</b>	
ივერია	33
<b>პლატონ თარგამაძე</b>	
საქართველოს რესპუბლიკას	34
<b>ინ-ბანი</b>	
სამშობლოს	35
<b>ლადო კეკელიძე</b>	
26 მაისს. 1919 წ.	36
<b>ვასილ კირვალიძე</b>	
სამშობლო	37
<b>ვ. კირვალიძე</b>	
სახალხო გვარდიას!	38
<b>დავით კოპალი</b>	
26 მაისი	39
გვარდიელებს	40
<b>აპოლონ კულაშელი</b>	
სამშობლოს	41
<b>ი. ნ. კურტიანიძე</b>	
საქართველო	42
<b>გ. ლადოშვილი</b>	
ჩვენს გვარდიას	44
<b>გ. ლეონიძე</b>	
26 მაისი	45
<b>რ. ლეჩხუმელი</b>	
სამშობლოს	47
<b>ცალფეხა გ. ლომთათიძე</b>	
26 მაისისთვის	48

<b>სოსო მაჭავარიანი</b>	
სიზმარი	50
<b>საფო მგელაძე</b>	
გვარდიელებს	51
<b>დუტუ მეგრელი</b>	
განთავისუფლდა ამირან გმირი	52
ჩვენს მხედრებს	54
<b>ი. მეგრელიძე</b>	
სახალხო გვარდიას	56
<b>შალვა მეფანდურე</b>	
დღეს ზეიშია	57
ზეიმს ვიხდი, მომილოცე!	58
<b>დ. მეჩონგურე</b>	
12 მარტი	59
26 მაისი	60
<b>ნიკოლოზ მინიშვილი</b>	
დღეს	62
<b>ი. მოსაშვილი</b>	
ჩვენს საამაყო გვარდიას	63
<b>შიო მღვიმელი</b>	
ჩემი ბალი	64
შვიდნი	66
<b>ი. მჭედლიშვილი</b>	
ქართველი ლაშქარი	68
<b>ფ. რუშაველი</b>	
ლაშქრული	69
<b>ვ. რუხაძე</b>	
საქართველოს	70
<b>რ. საჯავახელი (რაჟდენ ხუნდაძე)</b>	
26 მაისი	71
<b>ი. სიხარულიძე</b>	
სახალხო გვარდიელებს	73

<b>ილია სიხარულიძე</b>	
რესპუბლიკის ჯარს	75
<b>გალაკტიონ ტაბიძე</b>	
დაბრუნება საქართველოში	77
გვარდია	78
გვარდია	79
<b>შ. ქედელი</b>	
26 მაისისთვის	80
<b>გ. ქუჩიშვილი</b>	
26 მაისი	81
სახალხო გვარდია	82
ვაშა გვარდიას!	83
<b>ვარდენ ლვანკითელი</b>	
ვაშა მეტაურთ!	84
<b>ვარდენ ყიფიანი</b>	
სადღეგრძელო	85
<b>აკაკი შანიძე</b>	
ქართული ეროვნული ჰიმნი	86
<b>ვარლამ ჩლაიძე</b>	
აღფრთოვანება	89
ოცნება	90
<b>ა. ჩხარელი</b>	
ჯარის კაცის სიმღერა	91
<b>გერონტი ცინცაძე</b>	
26/5	92
<b>ირაკლი (კაკი) წერეთელი</b>	
მონოდება	94
<b>ლ. ნულაძე</b>	
თავისუფალ საქართველოს	95
ოცდაექვსი მაისი	97



<b>დ. ჭანჭათელი</b>	
დღესასწაული	99
წაუშლელი თარიღი	100
<b>გ. ხელაშვილი</b>	
მეომარი	101
<b>ნიკო ჯაფარიძე</b>	
დღევანდელი დღე	102
<b>უცნობი ავტორი</b>	
სალამი საქართველოს თავისუფლებას	104
<b>უცნობი ავტორი</b>	
დიდინი მეგობრულად	106
შენიშვნები	109



## წინათქმა

ორ წელზე მეტია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ინტენსიურად სწავლობს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიულ დოკუმენტებს და 1918-1921 წლებში გამოცემულ პერიოდულ და სხვა გამოცემებს. ინტერესი ამ ეპოქისადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავმა გააღვივა. ქართველმა მკვლევრებმა მრავალი ნაშრომი გამოსცეს, რომელთაც იმ ეპოქის სრულებით ახალი სურათი გამოკვეთეს. აღმოჩნდა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სულაც არ იყო უსუსური, ანტიპატრიოტული და ანტიჰუმანური, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია გვიხატავდა. პირველი რესპუბლიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან უმოკლეს დროში შეძლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარება, დამფუძნებელი კრების – პარლამენტის – დაფუძნება, საქართველოს კონსტიტუციის და მრავალი კანონის მიღება. ჩვენს დღევანდებლობას მათი შრომაც უმაგრებს მხარს. მაშინდელი საქართველოს არა მხოლოდ ელიტა, არამედ რიგითი მოქალაქეებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს ქვეყნის დამოუკიდებლობას. საქართველო იმედით შეჰყურებდა მომავალს, ხოლო მრავალი ადამიანი ტკივილამდე განიცდიდა იმ საფრთხეებს, რომელიც ახალ სახელმწიფოს ემუქრებოდა. ეს ჩანს ქართველი პოეტების შემოქმედებაშიც, რომლებმაც დამოუკიდებელ საქართველოს არაერთი პოეტური ქმნილება

მიუძღვნეს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენა მხოლოდ მაშინ იძენს სხეულს, მხოლოდ მაშინ გადაიქცევა საერთო სულისკვეთებად, თუ მწერლობა ამ მოვლენას აღნიშნავს. ჩვენთვის ძალზე ამაღელვებელი იყო მრავალი ქართველი პოეტის, მათ შორის ან უკვე კლასიკოსებად შერაცხული გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ნიკოლო მინაშვილის, დუტუ მეგრელის და სხვათა ლექსების აღმოჩენა, რომლებიც მათ დამოუკიდებლობას მიუძღვნეს.

ამ მცირე მოცულობის კრებულის გამოცემის იდეა ჩემს კოლეგას, ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის თანამშრომელს ნინო სიხარულიძეს გაუჩნდა. იდეა ყველას ძალზე მოგვეწონა. მისი დამსახურებაა, რომ მკითხველი პირველად იხილავს საქართველოს პირველი რესპუბლიკისადმი, დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ლექსებს. იმედი გვაქვს, რომ ქართული პოეზიის მკვლევრები ამ გამოცემით დაინტერესდებიან.

მასალის მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობას ვუხდით ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელს მარიამ ხოფერიას.

განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადაუხადოთ პროფესორ მერაბ ლაღანიძეს ამ გამოცემისადმი გამოჩენილი ინტერესისა და რჩევებისათვის.

## **ემზარ ჯგერენაია**

მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების  
დეპარტამენტის დირექტორი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

შენ

შენ ციმციმობ და გულს გვითბობ,  
ვით თვალ – ლურჯა გაზაფხული;  
შენ ხარ ჩაგრულთ ჩამქრალ გრძნობის,  
ასანთებად გადმოსული.  
შენ გვაყნოსე ია – ვარდი,  
აგვიტოვე გულის სიმი;  
შენ შეაშრე ჩვენს რვეულზე.  
ნამი გრძნობით დანანვიმი,  
შენ მოჰფინე ჩაგრულთ კერას  
განთიადის ნაზი სხივი,  
შენ გაგვითბე უიმედო  
სული სევდით განაცვი.  
შენ გვასმინე ტანჯულ მონებს  
სანეტარო შვების ჰანგი  
და მეც მყისვე გამოვძებნე  
მიუხანგული ძველი ჩანგი  
და დავმღერი, შენმა სხივმა  
შეარყია ქედი, მთანი  
და შენ ახსენ საუკუნოდ  
მიჯაჭული ამირანი...  
კვლავ დავმღერი... მე ხომ შენში  
ვსჭვრეტდი მხოლოდ მთელ სამყაროს,  
და ეს გრძნობა სიყვარულის  
ჯოჯოხეთმაც ვერ დაფაროს!

იციმციმე, გულის ვარდო,  
შენი ჭირი შემეყაროს:  
დე, შენ მყავდე უვნებელად,  
მე თუნდ მიწა დამეყაროს!...

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 26 მაისი

ვენიზ-ფაშას სიმღერა

(„ალი-ფაშამ გვიღალატა“-ს ხმაზედ)

სალამ-ელიქ! მე გახლავართ  
ფერის-ვეხიბ მეჰმედ-ფაშა!  
თავისუფალს საქართველოს  
გაუმარჯოს!... ვაშა! ვაშა!  
ძლივს მელირსა, ალლაჰს ვფიცავ,  
ეს ზეიმი, ეს თამაში, –  
ამ მშვენიერს მინდორ-ველზედ  
მეც ლეკური მეთამაშა.  
ოსმალო მთვარე მიღეული  
ამობრწყინდა, იკაშკაშა,  
გაიხარეთ, თქვენთანა ვარ  
ფერის-ვეხიბ მეჰმედ-ფაშა!  
სულ ყაბლუ-ფლავს მოგიხარშავთ,  
ნულარ გინდათ ურუსთ „კაშა“,  
ნუ მოიწყინთ, გიპატრონებთ  
ფერის-ვეხიბ მეჰმედ-ფაშა!  
ბათუმ-ყარსი, არტაანი  
ჩვენ მაჰმადმა გვიფეშქაშა,  
მოდის და ნუ გაახარებს  
ფერის-ვეხიბ მეჰმედ-ფაშა!...

გაზეთი „საქართველო“. – 1918. – 2 ივლისი

## ამირანი

(ამონაწერი დრამატიულ პოემიდან, რომელიც განვიზრახე  
დამეწერა დღევანდელ ბრწყინვალე დღისათვის, მაგრამ  
ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვერ მოვასწარი)

ავტორი.

უწინ იბერნი, ტომით აბელნი,  
კაცთა სიყვარულს ველარ ჰგონებდნენ,  
სულ დაცემულნი, წარმართებულნი  
ერთი მეორეს ჰკლავდნენ, ჰმონებდნენ.

ურთიერთ კვლითა და სისხლის ღვრითა  
ერი დასუსტდა, დიდება განქრა,  
გარეშე მტერმა, სასტიკ ძრიელმა  
იბერიისკენ გამოილაშქრა.

დადგა შავი დრო, იბერთ სამკვიდრო  
სასტიკმა მტერმა უმაღ იმონა, –  
ბავშვთა ტირილი, ქვრივთა ჩივილი  
ბარბაროს მტერმა არ გაიგონა.

დამონებულებს, განამებულებს  
თავებს ჰკვეთავდნენ და წყალში ჰყრიდნენ,  
ბრალთა, უბრალთა, კაცთა თუ ქალთა  
თვალეbs სჩიქნიდნენ, ენას აჭრიდნენ.

სიმღერა, ლხინი, ცხოვრება ტკბილი  
ხალხს შეუცვალეს გლოვით და ზარად,



ცრემლი, ტირილი, კვნესა, წუხილი  
ხალხსა დაჰმართეს მარად და მარად.

იყო შიმშილი, იყო წყურვილი,  
ხალხი შიშველი იარებოდა,  
ჭირი მოდებული, მინას გდებული  
ხალხი უწამლოთ იკარგებოდა.

ბევრის შრომითა, ტვირთის ზიდვითა  
მკლავის და წელის ძარღვნი წყდებოდნენ,  
მტერთ უხაროდათ, არა სჯეროდათ  
სანამ ტვირთ ქვეშა არა ჰკვდებოდნენ.

ასია თუ ნებით, ძალ დატანებით  
წაართვა ხალხმა თავ შესაფარი,  
ვენახი, ზვრები, სახნავ-მინდვრები,  
ველები, ტყენი და მთა და ბარი...

ოთხფეხი გახდა, სულყველა ნახდა,  
ვაზი, ხეხილი იყო გამხმარი,  
ვარდი ჭკნებოდა და იზრდებოდა  
ტიალ ბაღჩაში ეკალი-ნარი.

ხალხი ჰგოდებდა და იგონებდა:  
– ნეტავ უფალი ქვეყნათა არი?  
აჰა, ინდომა ღმერთმა ღმერთობა –  
გაჩნდა ამირან, ღვთის დასადარი.

მძლავრი მძლავრთაგან, ფიქრით ყოველგან,  
ჭკვიანთ ჭკვიანი, გონებიანი  
მხედართ მხედარი, გასაოცარი,  
სულით მაღალი განგებიანი.

გულით მაგარი, ხმითაც მაღალი –  
ერთსა იტყოდა, ათასს ესმოდა,  
ერთი შეტევით, მტერი გაქცევით  
ზარით, ღრიალით, იკარგებოდა.

მტერთა მახვილნი, მისკენ განვდილნი  
უმინოთ ტარში ტყდებოდნენ, –  
მისგან ნაკრავნი, მტარვალთა თავნი  
ვით მოცელილნი ძირსა წვებოდნენ.

არა ჰზოგავდა, ჰმუსრავდა, ჰკლავდა  
ხალხის მტერს გამხეცებულსა, –  
მან აღუბრწყინა, მან აღუზდგინა  
ნეტარ სიცოცხლე დამონებულსა.

სულთა დანრტობა და წარმართობა  
ერის დიდებას დასცემს, დაამხოვს –  
მით, რომ სიყვარულს, ხალხთა სიხარულს,  
არ აღიარებს და უარსა ჰყოფს.

სულთა დიდებას, სარწმუნოებას  
მარად ამტკიცებს ცათა ღვთაება, –  
წარმართი ჰქრება, მაგრამ ღვთაება  
არს ჭეშმარიტათ ის უკვდავება.

თუ ერთით რწმუნობს, ერთით სულდგმულობს  
ერი ღვთაების მადიდებელი, –  
ერთსულოვნება, ერთგულოვნება  
არის ერისა გამდიდებელი.

ესრედ დიდება და განდიდება  
ერს ამირანმა გამოუნახა:  
ცათა ღვთაებათ, სარწმუნოებათ  
მან ცის კამარი (გამოუნახა) გამოუსახა.

წმინდა კამარი, ცათ მინაბარი  
არის ის მრწამსი სიყვარულისა  
და სიყვარული არის ერთგული  
წინამავალი სიხარულისა.

და ერმაც იცნო, სიმართლე იგრძნო,  
ერი კამარსა ღმერთათ ჰსახავდა,  
ჰხარობდა ერი სულ მადლიერი  
და სიყვარულიც აღზდგა, აჰყვავდა.

აღზდგა მამული, დიდ ქირნახული,  
ხარობდა ველი ამწვანებული,  
ნალკოტი შლილი, გადაფურჩქნილი  
ვაზი ცრემლებით გახარებული

ვარდნი წითელნი, ის მშვენიერნი  
ბუჩქებში მორცხვათ იმალებოდნენ,  
ნაზნი ბულბულნი, აღტაცებულნი  
ცელქნი გალობით თავს ევლებოდნენ.

ვარდით ბულბული შეყვარებული,  
ვარდის კოცნაში ბაგეს ივსებდა,  
სურნელოვანი, ნაზ ზვირთოვანი  
სიოც ჩურჩულით უაღერსებდა.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007. – ტექსტიდან ფურც. 46

26 მაისი

მზემ ღიმილით დედამიწას  
ოქროს-ფერი სხივი სტყორცნა,  
გაახარა და ერთმანეთს  
შესთავაზეს ხვევნა-კოცნა.

მიწამ გული გადიღელა,  
აღმოცენდა ია – ვარდი  
დასტკბა მით და ჩვენც დაგვატკბო,  
შეგვიმუსრა გულზე დარდი.

შეიმოსა საქართველო –  
აღდგა მკვდრეთით წამებული.  
თაი-გულად შეიკონა,  
მასში გალობს დღეს ბუღბუღი,

ავი ღმერთი წამებისა  
ჩადნა, ჩაკვდა გაცამტვერდა,  
მორჩა ტანჯვას ამირანი  
მისი გრდემლი ან ამტვერდა.

სამშვიდობოდ ქვეყნისათვის  
ზე აღმართა თვისი დროშა  
გაუმარჯოს საქართველოს!  
მის გმირ შვილებს ვაშა, ვაშა!

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 26 მაისი

დ. გაბრუაშვილი

### საქართველოს მაისი

გაზაფხულმა ფრთა გაშალა, აბიბინდა მწვანე მდელო,  
საქართველოც მკვდრეთით აღსდგა, გავიტანეთ დიდი  
ლელო!...  
ის აღსრულდა, რასაც მარად შენატროდა ჩვენი გული,  
რასაც ტკბილის ოცნებითა შეხაროდა ვნებით კრული  
დღეს ზეიმობს ნაწამები ქართლოსის ძე, ხარობს,  
სტკებება,  
მრწამს მე მისი სიდიადე, მის სამშობლოც არ  
მოკვდება!...

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1918. – 2 ივნისი

26 მაისი

ცის ლანდების სავანე – ცა კუპრული გაირღვა,  
ოქროს ცრემლი მოდინდა ფერად სივრცით დენილი,  
ათვალჭრელდა გარემო დღის ხავერდით ფენილი  
და იქ სიტყვა მზიური ერის გულზე დაიფრქვა!...

მზის სხივები,  
ვით ისრები ციმციმობენ, ომობენ,  
ერს უებარს,  
თავისუფალს, – ძლევის ხმებით ამკობენ!...

გაირღვა წყვილიადი, ადიდდა გულის თქმა,  
და ლოცვა დიადი გარდიქმნა ერის ხმათ,  
სამშობლო ზეიმობს, მოუდის მზე ლხინის!...  
ალამი გულისა თან მიაქვს, უცინის!...

ზღვა ხალხი გუგუნებს, ზეიმობს გარემო;  
გუგუნებს, ტრიალებს მძლე ხმა და ზვირთები  
ევჰ! რად შეშურდათ ჩვენი ხმა საგემო,  
მოდით და ვილხინოთ, თუ ძმები ვიქნებით!...

სამშობლო ზეიმობს, მიუძღვის მზე ლხინის,  
ალამი გულისა თან მიაქვს, უცინის!..

შავი გველი

აი აგერ: როგორ ცოცავს,  
ქეჩოს იყრის შავი გველი;  
კვლავ ჩაყლაპვას გვეპირება  
არამზადა, საძაგელი!?  
ცა-ქვეყანა მოღუშულა  
და ცეცხლს აფრქვევს მინდორ ველი;  
ბრძოლის ველზე გამოსულა  
ამირანი მაშვრალთ მხსნელი!  
აღუმართავს ძლევის დროშა,  
დაუდვია ხმალზე ხელი;  
მოსისხლე მტერს იქ ემუქვრის  
სადაც არის საფლავ ბნელი!!  
ზიზღი ავ-სულს, აღარ იქმნეს  
ამიერიით სისხლის მსმელი,  
რო მის ნაცვლად აღმოცენდეს:  
მშობელ ერის გრძნობა მხსნელი!  
ვაშა იმას, ვინც ბრძოლაში  
ჩაებმება დღეს ქართველი  
და მოძმისთვის თავს გასწირავს,  
რომ აღგავოს ავი გველი!..

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 9 ნოემბერი

## თბილისი

სხივთა ლეჩაქად გარს მოივლე მზის სიხალისე.  
შორეულ მთების გიალერსებს ტყეთა ჩრდილები, –  
შენში ალერსით იშლებიან ყარამფილები  
და გაზაფხულზე ყვავილებით გათრობს მაისი,  
გიყვარს ოცნება შორეულზე... წარსულის ლანდი  
ვნებით გაჟღერებს საუკუნეთ მოგონებებში  
და, შენც უყიფი მზის რაყიფებს მზის ოცნებებში, –  
ბრძოლის ველისკენ გმირთ მოუხმობ ვით გარიბალდი!...  
ლალი ბესიკი გეზმანება ჩრდილთ ხეივნებში  
მუხამბაზებით ჭიანურზე ათროლოებული, –  
გათრობს ვახტანგის მამაცობა აღმოდებული  
ვით კაეშანი ატირებულ თარის სიმებში!...  
მზის სადიდებლად აიტანე მთაზე არმაზი.  
ღმერთად ინამე სიყვარული და სილამაზე.  
ცეცხლის ქურუმი, ვიამაყებ შენი სახელით.  
ქართლოსის გულო! განიძარცვე დღეს ძაძა შავი.  
დროთა სივრცეში აკაშკაშდა ტურფა ვარსკვლავი –  
შენი მშვენების და დიდების გამომსახველი!

გაზეთი „საქართველო“. – 1918. – 26 ივლისი



სამშობლოს დამცველებს

ბრძოლის ველზედ ყიჟინა  
ქუხს და დრტვინავს ზარბაზნები,  
მტრის ურდოებს მედგრად ხვდება  
საქართველოს დევ-გმირები.

„ნინ! ნინ! ძმებო შორს გაისმა  
შეტევაზედ ერთად ყველა,  
შევანანოთ მტრის ბრბოებსა  
თავს დასხმა და შემოტევა.“

მწყობრად მიდის ჩვენი ჯარი  
ცეცხლის რგოლებს არღვევს მკერდით,  
მტერს შეჰყვირის – „საქართველო  
აღმდგარია უკვე მკვდრეთით“.

ბრძოლა არის ხელჩართული  
გასალკდევდა ქართველის გული,  
ძველებურად გაახსენდათ –  
„გამარჯვება ან სიკვდილი“,

ბრძოლის ველზე ყიჟინაა  
სისხლით რწყავენ მწვანე მდელოს,  
და სამშობლოს დევ-გმირები  
ბედს უჭედენ საქართველოს.

ზეიმზე

26 მაისი

წითელ რიჟრაჟზე ჩამოიხსნა შავი ფარდები,  
ოქროს სხივებით მოექარგა ცის მიჯნურს ყელი,  
თეთრი სუდარით გავასვენეთ ძველი დარდები, –  
წითელ გაზაფხულს მივეგებეთ, მივეცით ხელი!

დაიმსხვრა კერპი ქურუმების, ოქროთ ნაფერი,  
გმირთა სულები აიშალენ მკვეთრი შუბებით,  
მედგრად ამართეს ძლევის დროშა – დროშა  
სამფერი,  
მოსრნეს მტერთ გუნდი, გამარჯვებას ღვინობენ  
შვებით!

და გაზაფხულის ლურჯ სუფრაზე ზეიმობს ზეცა.  
მზე ოქროს ყანწით გვეტოლუმბაშობს, ვსვავთ  
სადღეგრძელოს,  
წითელ ჰიმნებით მოვიმღერით, ბანს გვაძლევს  
მზეცა,  
დიდება ივერს გამარჯვებულს, ერს სასახელოს!..

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1920. – 26 მაისი

26 მაისს

მადლი გამჩენს და განგებას,  
ღვთაებას და ქვეყნის უფალს,  
რომ შეგვასწრო, ჩვენს სამშობლოს,  
ბორკილ-ახდილს, თავისუფალს.

მადლი იმ ძალას, რომელმაც ჩვენ  
მოგვცა სიმხნე, თანაც ჯანი  
რომ ციხიდან გამოგვეხსნა,  
სატრფო ნესტან-დარეჯანი.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007. – ტექსტიდან ფურც. 33

მანის 26

დღეს ზეიმია ივერთა,  
ერი აღმზდგარა მკვდრეთითა,  
ურიცხვი დროშა ფრიალებს  
შემკული სამის ფერიითა.

თეთრი – მშვიდობის სიმბოლო,  
შავი შავდროთა ფერისა:  
წითელი – ბრძოლის ნიშანი  
რისხვის მიმცემი მტერისა.

ქუჩებში ისმის გუგუნნი,  
ეროვნულ ჰიმნსა მღერიან  
მრავალი ქალი და კაცი  
გუნდ-გუნდად ირაზმებიან.

ხელში უჭირავთ ალამი  
ნიშანი ივერიისა,  
თეთრი გიორგი ჰხატია  
დამმარცხებელი ბნელისა.

დღესასწაულობს ივერი  
ერი აღმსდგარა მკვდრეთითა  
თავისუფლებას, სამშობლოს  
დაიცავს მტკიცე მკერდითა!..

ოცდა ექვსი მაისი

დღეს სიხარულით ჩვენ ვიგონებთ მკვდარ  
საუკუნეს...  
აღდგენილ ტაძრის გალავანში, ვავლენტ მწველ  
ლოცვებს,  
ლოცვა ღვთიური სიყვარულის ცეცხლით სწვავს  
სულებს...  
ჩვენი მზიური ამზევდა, მზეს გააოცებს...  
დღევანდელი დღე, ჩვენს წრფელ სულში  
ისალამურებს...  
დღეს ვით ყოველთვის, ვინ ვით ლოცვად ჩვენს  
ღვთაებაზედ...  
საქართველოში არასოდეს ისალამურებს  
ვმღერით, ჩვენ ვმღერით... საქართველოს უკვდავე  
ბაზედ...

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007. – ტექსტიდან ფურც. 40

26 მაისი 26

მაისი მუსიკალობს... – და ია მით ვმღერ მისი; –  
გაისი მას უგალობს... და სიამით მერმისი.

ნითელ აფრად სიოზე: შლილობს დროშა ივერის: –  
ცით ელვა-აფრად სიონზე: ცვლილობს დროთა იერის.

ანგელოზნი ლილისა ფონს: რთავენ ბრილიანტით; –  
ჰანგ მდელოსნი, დილის ათონს: სწნავენ გირლიანდით.

დაფნ-ვარდ მარშით, სიყვარული: ქნარობს მშვენიერი: –  
დაფ-მარდ რაშით, სიტყვა სრული: ჰხარობს მშვენიერი.

მაისი მუსიკალობს... – და ია მით ვმღერ მისი; –  
გაისი მას უგალობს... და სიამით მერმისი.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1920. – 26 მაისი

გაუმარჯოს საძმართველოს

რა ვქნა, რა ვქნა, შვების ცრემლი  
კვლავ დაემსხვრა ვერცხლის მძივად,  
თუმცა სული კვლავად დრტვინავს,  
თუმცა გული კვლავ მაქვს ცივად.  
მე არ ვიცი: ცეცხლის სხივი  
მზემ რომ სტყორცნა მშობელ მხარეს  
შვება-ლხენას გვიქადის თუ  
გლოვის ცრემლებს და ხვედრს მწარეს.  
მე არ ვიცი: შვების ცეცხლი  
კვლავ იმზევებს, ისხივოსნებს  
და დაათრობს უშრეტ ალით  
მშობელ ერის სათუთ მგოსნებს,  
თუ კვლავ ჩრდილი ჩამონვება  
ჩემი ერის დრტვინავ სულში,  
მწარე ხვედრი არ აკმარებს  
რაც იტანჯა მან წარსულში.  
მე არ ვიცი რა იქნება:  
კვლავ ზამთარი თუ ზაფხული,  
კვლავ ყორანი თავს დაგვჩხავლებს,  
თუ გვიმღერებს კვლავ ბულბული,  
მაგრამ მაინც აღარ ვკვნესი,  
გულს არ ვიტყვხ შავ ფიქრებით  
და სამშობლოს თავს ვეველები  
ლალ ოცნების ლალი ფრთებით.

და ვიძახი: გაუმარჯოს  
ამაყ მთებს და ტურფა მდელოს,  
გაუმარჯოს ჩემს სამშობლოს,  
გაუმარჯოს საქართველოს!!!

გაზეთი „სახალხო საქმე“. – 1918. – 30 მაისი



## ივერია

(კანტატა)

სიჩუმე... სიჩუმე... სიჩუმე...  
ყინვით შებოჭილი, სამშობლო დევნილი  
ქვეყანა ცრემლითა და სისხლით მორწყული,  
ჩვეული დარხევას, ფეხქვეშ გათელვას!..  
იელვა... იელვა... იელვა...  
ქუხილი მოისმა... მთა ბარმა – ხმა გასცა,  
ჰაერი დაიხშო... ქვეყანა აძრწუნდა,  
აკვნესდა, ატირდა, ვაებამ წალეკა!  
იჭექა... იჭექა... იჭექა...  
ყინვარი განრისხდა!.. მთა ბარი ათორთხლდა.  
კლდეღრენი დაიძრნენ, ზღვა-წყალნი აშფოთდნენ,  
ტალღები ცას ეცნენ, ცა მიწას დაეცა!  
დალენა... დალენა... დალენა...  
ბორკილი დაიმსხვრა... ნიავემა დაჰქოლა!  
მზის სხივმა ღვთის მშობლის წალკოტი ჩაკოცნა!  
იმერნი, ამერნი შეერთნენ, შეზღუდნენ...  
მკვდრეთით აღზდგნენ, მკვდრეთით აღზდგნენ  
სხივში საქართველო მოსილი წარმასდგა,  
ხელახლად აჰყვავდა!?, სხეულით დულდება.  
მაგრდება... იზრდება... ქართველთა დიდება!  
დიდება... დიდება... დიდება!

უჟრნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 11 მაისი

საქართველოს რესპუბლიკას

(პირველი წლის თავის აღსანიშნავად)

ჩვენს ტურფა, ნორჩ საქართველოს  
ვეგებები თაიგულით.  
და ვულოცავ ამ დიად დღეს  
კაი სულით, კაი გულით.  
საქართველოს შვილი რომ ვარ  
მიტომ ვხარობ, ვუსტვენ ბულბულს,  
გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს  
დიდ მაისის განახლებულს.  
გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას  
ხალხის ნების გამომხატველს,  
გაუმარჯოს ხალხთა კავშირს,  
წყევლა-კრულვა წარსულ შავ-ბნელს.  
გაუმარჯოს ჩვენს დევიზებს –  
ძმობას, სიყვარულს დიადსა.  
გაუმარჯოს ჩვენს ერთობას,  
რომელიც ანგრევს წყვიდადსა.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007. – ტექსტიდან ფურც. 32

## სამშობლოს

შენ, ტკბილო დედავ ივერიავ, ხარ მზისა დარი!  
ხან თუ გესმოდა ღრუბელთ ჯარი, ხან გედგა დარი.

შენ, ტკბილო დედავ ივერიავ, ხარ ღვთისა დარი!  
შენთვის აღაგეს გმირთ ტაძარი ამაყად მდგარი,  
შენთვის აღმართეს ტანჯულთ ჯვარი ლალის სადარი.

შენ ტკბილო დედავ ივერიავ, ხარ ცისა დარი!  
შენთვის მოვანყეთ სიმთა ჯარი, ხარ ამაგდარი!  
რომ შეგენიროს გული მკვდარი მარად მზად არი.

გაზეთი „საქართველო“. – 1918. – 26 მაისი

26 მაისს. 1919 წ.

სწორედ, ოცდა ექვსი იყო  
წარსული წლის მაისი  
როცა, ტანჯულ საქართველომ  
დაიბრუნა, თავისი.

ჭეშმარიტად, ქრისტე აღზდგა  
გაიძახის, ქართველთ ერი  
წითელ დროშის, ქვეშა ლხინობს  
ქალი კაცი, მშვენიერი.

გაუმარჯოს, ქართველთ  
შორსა მჭერმეტყველებს, ღვთით  
ბრძოლის ველზედ გმირთ  
გამარჯვებით, ბედნიერთ.

მოგილოცავთ დღესასწაულს  
იყავთ მუდამ, ყველა ძმურად,  
და შენდობა იმ ჩვენ გმირებს  
ვინც საფლავში არის მდგმურათ.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007. – ტექსტიდან ფურც. 18

## სამშობლო

გავსწყვიტეთ ჯაჭვი მონური,  
ნაღველი უკუ ჰყარეო;  
გილოცავ თავისუფლებას,  
ჩემო სამშობლო მხარეო!

ისიც გეყოფა რუსებმა  
რაც დღე განახვეს მწარეო;  
დღეს აღსდგა შენი გმირები,  
დასტკბი და გაიხარეო!

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 26 მაისი

სახალხო გვარდიას!

გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას, ჩვენს ჯარსა და მათ  
სარდლებსა;  
გაუმარჯოს საქართველოს, წყვეა კრულვა მოსულ  
მტრებსა!  
ვაშა, ვაშა გმირ გვარდიელთ, ბრძოლის ცეცხლში  
გამოცდილებს,  
და კურთხევით მოგონება ბრძოლის ველზე  
დახოცილებს!..

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 12 დეკემბერი

26 მაისი

მაისის ფერ თბილ ქალაქში  
ძველი ახალს ებუტება,  
და ცოცხალი პაპათ ლანდი  
ქართულ დროშას ეხუტება.

სიონშიაც ზარს ჩამოჰკრეს,  
სასახლისკენ მიდის ხალხი,  
თვის უფლებას ეუფლება  
და ეხსნება დროშას თალხი.

მტერსაც ძმურად ხელსა უწვდის,  
შავს წარსულზე იკლავს დარდებს,  
მამა-პაპათ მადლსა უხდის,  
მოუწოდებს იმათ ლანდებს.

მაისის ფერ თბილ ქალაქში  
ძველი ახალს ებუტება,  
და ცოცხალი პაპათ ლანდი  
ქართულ დროშას ეხუტება.

გაზეთი „საქართველო“. – 1918. – 29 მაისი

## გვარდიელებს

სიყვარულით ხალხში დაჰფრენთ,  
ექიშპებით მებრძოლ არწივს.  
საქართველოს ნათელს აფენთ,  
როცა თავზე სისხლი აწვიმს.

ბრძოლის ჰიმნი თუ რომ დაჰკრეს,  
საზღვრებისკენ გაიწევით.  
საქართველო, რომ არ გაჰქრეს  
ცოცხლად ცეცხლში დაიწევით.

ბრძოლის დროს ხართ, უფრო ჩქარი  
უფრო ჩქარი ვიდრე ფიქრი  
ვერ გეწევთ ჩქარი ქარი  
ქარს უკან სტოვთ და წინ მიჰქრით

ქართველებო! ცეცხლის ძმებო!  
როს მიაღწევთ წითელ მიზანს,  
ძმობის ღმერთი მებრძოლებო!  
დაგიჰკოცნის თვალებს მზიანს.

ერი გმირებს გაძლიერებს  
ფეხ ქვეშ გიფენს ვარდს და შროშანს.  
ვაშა... ვაშა... გვარდიელებს  
ეროვნულს და წითელ დროშას.

გაზეთი „ბათუმის ფურცელი“. – 1920. – 12 დეკემბერი



## სამშობლოს

(26 მაისის ზეიმის გამო)

საუკუნებმა გადირბინეს შენს თავზე მძლავრად  
და უთვალავი მტერთა ურდო შემოგებრძოლა,  
ყველა შემუსრე და აჩვენე, რომ შეგწვეს ძალა,  
შეინარჩუნე შენი სახე ფოლადის ფარად!..

ძირს არ დახარე შენი დროშა – ხელთ გეპყრა მარად,  
რაინდო სულით, შენ არ იცი შიში და ძრწოლა,  
ერთსულოვნება მუდამ შეგწვეს და იცი ბრძოლა,  
გარს არწივები გდარაჯობენ ბრინჯაოს ჯარად!..

და დღეს ზეიმობს შენი სული მუდამ მგზნებარე,  
გული გიმღერის, რადგან შენ ხარ გამარჯვებული,  
მე შენი სახე, უკვდავებავ, ლალ მზეს ვადარე, –

და როგორც დღემდინ ან მარადის ტკბილად  
გვატარე,  
მსურს იყო მარად მონარნარე, აყვავებული –  
ჩემო ლამაზო, მშვენიერო სამშობლო მხარე!..

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1920. – 26 მაისი

## საძარტიველო

დიდ მუხის ძირას ჰყვავოდა  
პატარა ია ობოლი,  
გარს შემორტყმოდა მას ჩერო  
გულშემხუთავი ვით რგოლი.  
მზის სხივი ენატრებოდა,  
თრთოდა და ჰკრთოდა იაი,  
სულ მუდამ გაიძახოდა:  
მე სიხარული მშიაო.  
მუხა კი რიხით დაჰყურებს  
მას არ აქვს სიბრალულია,  
ია, რომ იჩაგრებოდა  
არ შესტკიოდა გულია.  
ან კი რად ეჭირვებოდა  
მას იის სიბრალულია,  
როს ქარტეხილსა უძლებდა  
ის მუხა დიდებულია.  
მაგრამ გაუჩნდა მას ძირში  
თხუნველა-თაგვი-ჭიბი,  
მუხა ძირს დასცა ძალუმად  
ანთავისუფლა იაი.  
მე, რომ მზემ სხივი მესროლა –  
ან გაიძახის იაო –  
თავისუფლება მეღირსა,  
მერწმუნეთ, აღარ მშიაო.

დღეს შესრულდა წელიწადი  
თვითონ ვებრძვი ქარტახილსა  
მოვიშორებ ჩემს გარშემო  
ჭირს და ვარამს ატეხილსა.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007. – ტექსტიდან ფურც. 41

ჩვენს გვარდიას

(გვარდიის დღის გამო)

ბურჯი ქვეყნისა, მისი დამცველი;  
შეუპოვარი გმირი მებრძოლი;  
ჭირში მდებარე დაუძლეველი,  
სამშობლოს მტრების სიკვდილის რგოლი, –  
ვინც საქართველოს კიდით-კიდემდე  
ამოუშლელი გაავლო ზოლი.  
მტრებს ძრწოლასა ჰგერის მოყვარეს შვებას  
მისი სახელი და ხმა მქუხარე,  
მასზე ამყარებს მომავლის იმედს  
ქართველი ერი – სამშობლო მხარე –  
თავისუფლების მტკიცდება ფუძე  
კვდება ვარამი და სიმნუხარე...  
ის არ შეარცხვენს მშობლის სახელს,  
მის სადიდებლათ მსხვერპლათ სდებს თავსა;  
სასიყვარულო ცეცხლით გზნებული  
ალთქმის ქვეყნისკენ უკაფავს გზასა  
და სანამ მშობელს გარს ასხა მტერი  
ძირს არ დაუშვებს ამონვდილს ხმალსა...  
უყვარს მშობელსაც ვაჟკაცი შვილი,  
სიხარულსა გრძნობს, ზეიმობს ერი,  
დაფნის გვირგვინებს უწინავს გმირ მცველებს  
ის თავ მომწონე და მადლიერი –  
მტკიცება ბურჯი ჩვენის ქვეყნისა!  
ან შიშით ძრწოდეს ბოროტი მტერი!!

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 12 დეკემბერი

26 მაისი

ვამაყობ როგორც გულზვიადი მეისრაბარი  
დასისხლულ მარჯნით იჭედება ჩემი სახელი.  
ცხელ არმაზიდან ატირდება შავი ძახილი...  
აცეცხლებულა ტოპაზებით ამაყი სახლი.  
მზე პერანგს იცვამს ყირმიზისას – მთებში ნაფარი;  
რკინის კვენესაში ხმალსა ჰფერავს მეისრაბარი!..

საწყალ აჩრდილებს, რომ სდიოდათ სუნი  
მიწისა,

აღარ აცვიათ ტურნირებზე თეთრი რძიანა;  
აღარ ანახლებთ ხმა სოლომონ ლეონიძისა –  
დგებიან როგორც კეისარი ვესპასიანე...

შვინდის დროშებით გავაგიჟებ ყომრალ  
მოედანს...

დღევანდელი მზე საქართველოს ისევ მოიტანს.  
ნელდება ცეცხლის კოშმარებში ოდრიკალები –  
თეთრი ფიქრები მახვევია მადრიგალებად...

და გორგასლანის მელანდება შავი სურათი.  
მისრეთი... ჰინდი... ბაბილონი და ასურეთი...

ჩემსკენ მოჰქრიან იალქნებით: სპარსი, აბაში,  
ჩემი სახელი დაიხევა აღტაცებაში.

დღეს სიხარული – ვით ცეკვაში მთვრალი  
სალომე,  
როგორც ეთერის სარეცელზე აბესალომი!.

ქართლოსის ლანდი ბრწყინვალეებით  
გამეთარეშა –

არმაზისაკენ!

ნულარ წავალთ ლეგა ზამთარში.

გაზეთი „საქართველო“. – 1918. – 6 ივნისი

რ. ლენჩუშელი

## სამშობლოს

ჩემო სამშობლოვ! შვეებით სავსე მაქვს სულის ფსკერი,  
წითელ დროშის ქვეშ ხარ ბრწყინვალე, ხარ  
მშვენიერი!  
სისხლის ფერ დროშას როცა სიო ფრთას კრავს,  
გაქროლებს,  
შენი ბორკილის როცა ვხედავ დამტკვრეულ რგოლებს,  
უკანასკნელ ნაშთს ცოდვებისას, როცა ცეცხლი  
სწვავს,  
და მცინარ ბრბოს წინ მის გაქრობას ვერვინ ბედავს,  
ქუჩის ყიუინამ როს შესცვალა სასახლის შვება,  
ბრბომ მოიტაცა, ბრბომ წაიღო ძველი დიდება,  
როცა ნანგრევებს შრომის შვილი, ამაყი, მარჯვე,  
დაადგა თავზე და იძახის: მე გავიმარჯვე!  
მაშინ სამშობლოვ, საყვარელო, ნეტარებს სული,  
იყავ ბედნიერ, მომილოცავს დღესასწაული!..

გაზეთი „ერთობა“. – 1919. – 26 მაისი

26 მაინისთვის

ეს გუშინ იყო რომ ჩვენს ტანჯულ ქედს  
ბინძური მტარვალი ადგამდა ფეხს,  
გვთელავდა უღმერთოდ და გვხდიდა სულს,  
თითონ კი ხარობდა, ილხენდა გულს;  
ღირსება კაცური აგვხადეს ჩვენ;  
ამისთვის შობილნი არ ხართო თქვენ.  
და ქედებს სიმძიმით ვხრიდით ჩვენ ძირს...  
ნატვრად გვიქციეს სინათლე ცის...  
და განა სიცოცხლე მონური ჰღირს?  
საზღვარი დავუდეთ ტანჯვას და ჭირს:  
მივეციო მხარი-მხარს და ხელი-ხელს,  
ვსთქვით „დავსცეთ თავს ზარი მტარვალსა გველს!  
მამაცად, ბიჭებო!.. მტარვალი ძირს!..  
ვიხილოთ, ძმებო, ჩვენც სინათლე ცის!“  
შეშფოთდენ მტარვალნი, გვიღერდენ მუშტს,  
მაგრამ ვერ გვტუქსავდენ მწყრალსა და კუშტს...  
შევიძებოთ ერთბაშად ყველა ერთს ნუთს, –  
ცუდი დღე ვუთენეთ მტარვალსა ნუნკს:  
გადვიგდეთ ქედთაგან, გავშხლართეთ ძირს,  
მათ თვალთგან დღეს სისხლის ცრემლები სდის.  
გავთელეთ, შევდექით რა იმათს მკერდს,  
შურისა ძიების მოვუხმეთ ღმერთს,  
ლახვარი ჩავეციო მათს ბინძურ ყელს...  
საშველად ამაოდ იქნევენ ხელს...



ავსნიეთ ქედები... კარგია... ვიშ...  
ვიხილეთ სამოთხე – სინათლე ცის!..  
ვიგემეთ უფლება თავისა თვის...  
ან ჩვენი მონება ვის ძალუძს, ვის?..

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007. – ტექსტიდან ფურც. 17

## სიზმარი

(უძღვნი თავისუფალ საქართველოს)

საქართვე. ბედი ბენჯზედ ეკიდა, დემოკრატიის სიხარული ნადგურდებოდა. ჩვენ ქვეყანას ჭია-ლუა დასეოდა, ჩანთქვას უქადდა. საშინელი იყო ყოველი ნუთი, მეც განვიცდიდი მთელ მწუხარებას საქართველოს დემოკრატიის ბედისას. მოქანცული ზღვათა ფიქრებისაგან მივწევი მისაძინებლათ. ძილის დროს ვნახე საშინელი რამე სიზმარი: კუბოში იდგა ვინმე ქანწული, მშვენება საქართველოსი, მკვდარი მტრებისგან. ხალხი ლელავდა, არ ჯეროდათ მისი სიკვდილი, კუბო მიჰქონდათ. ის იყო სასაფლაოსთან მიუახლოვდნენ, რომ ქანწულმა თავი წამოყო, წამოჯდა და გაყვითლებული სახით გადაავლო თვალი ურიცხვ ხალხს და შესძახა: სიცოცხლე მინდა, რათა მკლავთო! კუბო მაინც მიიტანეს სასაფლაოსთან და ჩადეს გათხრილ საფლავში, მიწა ნახევრათ მიყრილი იყო, რომ კვლავ წამოიწია ქანწულმა და დაიძახა, მიშველე, (ნოე) ხედამ როგორ უსამართლოთ ჰმარხავენ, მიშველეო. უცბათ გამოჩნდა (ნოე) სტაცა ხელი და საფლავში ნადები ქანწული ამოიყვანა და დაიძახა: ცოცხალია, არ მომკვდარა. მტრები გაიფანტნენ. მოყვარების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა დღესასწაულობდნენ გამარჯვებას.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007. – ტექსტიდან ფურც. 6

## გვარდიელებს

ისმის სიმღერა მხიარული, ისმის ყიჟინა  
ჩამოეცალეთ, გზა მიეცით, გზა – გვარდიელებს!  
მტერი გარეკეს, ვერ აღუდგა ვერვინ წინა,  
მამაც რაინდებს, ახალგაზრდა ივერიელებ!  
მაყრულს ამბობენ, გესმით, მაყრულს ჩვენი გმირები,  
თავისუფლების ლამაზ სხივებს ხელით იჭერენ,  
დღეს ზეიმობენ, ქორწილი აქვთ გადასახადი:  
ტარიელს ნესტან უპოვნია და ჯვარსა სწერენ;  
ამაყოფს დედა – საქართველო თავის შვილებით,  
და მასთან ერთად მეც ვამაყოფ – ქართველი ქალი;  
წინ მივეგებოთ, ჩამოვართვათ დაღლილებს ხმალი.  
ისმის მაყრული მხიარული, ისმის ყიჟინა:  
ჩამოეცალეთ, გზა მიეცით, გზა გვარდიელებს!  
მტერი გარეკეს, ვერ აღუდგა ვერავინ წინა,  
მამაც რაინდებს, ახალგაზრდა ივერიელებს!..

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 12 დეკემბერი

ბანთავისუფლდა ამირან გმირი

(უძღვნი ივ. გომართელს)

საუკუნენი საუკუნეთ, ვით წუთნი, სდევდნენ  
და თან მიჰქონდათ სიამენი, თუ ვაებანი, –  
გუშინ დამტკბარნი ცხოვრებითა დღეს სულსა  
ლევდნენ,  
დღეს მონეტარეთ მოელოდათ ხვალ წამებანი  
და საქართველოც, სამოთხის დარი,  
ხან თუ ხარობდა, გალალეებული,  
ხან, სამარისა კარზედა მდგარი,  
ძლივს-ლა სუნთქავდა, დასუსტებული!  
ბევრჯერ უსწორო ის ბრძოლაში დამარცხებული  
მტრის ურდოთ ცეცხლის და მახვილის მსხვერპლადა  
ქმნილი,  
მაგრამ კვლავ მალე, ვით ფენიქსი, განახლებული,  
აყვავებულა, საარაკო წალკოტად შლილა.  
და ხშირად იგივე დაუძლევია,  
ვინც აყენებდა მას საზარ დღესა  
და გამარჯვების ჰიმნად ჰქცევია  
დამარცხებულის მოთქმა და კვნესა!  
და, აი. ახლაც, სიმწარის-რა შესვა ფიალა,  
სისხლით და ცრემლით მორწყო თვისი მთლად მთა  
და ბარი,

თავისუფლების დროშა ისევ ააფრიალა  
და იბრძვის მისთვის, გაშმაგებულ ლომისა დარი,  
და ამაოა ცდა მის მტრებისა,  
რომ განუახლონ განვლილი ჭირი, –  
დაიმსხვრა ჯაჭვი ბორკილებისა,  
განთავისუფლდა ამირან გმირი!..

გაზეთი „ერთობა“. – 1919. – 26 მაისი

ჩვენს მხედრებს

ოჰ, ერთხელ კიდევ, ოჰ, ერთხელ კიდევ,  
ქართველო, უნდა ხმალს იკრა ხელი!  
ხომ ხედავ, როგორ გადაგვეკვიდენ?  
ყოველი მხრიდან გვეხვევა მტერი!

ერთს მოვიგერებთ, მეორე ესხმის  
ამ ჩვენ პატარა ტურფა ქვეყანას  
და, ვაი, ხშირად ისიც კი გვესმის,  
რომ ძმად ნაგულვიც ზურგში გვცემს დანას!

თავისუფლება ჩვენი შურს ყველას  
და გვიმზადებენ კვლავ ბორკილებსა,  
მაგრამ ჭირში მყოფ მამულის შველას  
ვერვინ ასწავლის ქართველ გმირებსა!

და ბათუმიდან ზაქათალამდე  
მთელ ერს აფრთოვნებს დღეს მხოლოდ გრძნობა,  
რომ სამუდამოდ გაერთიანდეს  
და დაამყაროს თვისს შორის ძმობა.

და ირაზმება, რომ ახლანდელი  
ვერაგი მტერი შემუსროს სრულად  
და ეს გამოცდაც, უკანასკნელი,  
ბედს ჩააბაროს მან ღირსეულად!

რა ვუყოთ მერე, რომ ბევრს კვლავ ელის  
ტანჯვა-წვალება, სიკვდილი მწარე?

სამაგიეროდ სახელს თვისს მხსნელის  
გააუკვდავებს მშობელი მხარე:  
ხალხის ხსოვნაში გაღმერთებული  
არ მიეცემა ის დავიწყებას  
და არა ერთი აღფრთოვნებული  
მგოსანი უძღვნის ქება-დიდებას!  
მაშ, ერთხელ კიდეც, ოჰ, ერთხელ კიდეც,  
ქართველო, უნდა ხმაღს იკრა ხელი!  
ხომ ხედავ როგორ გადაგვეკიდენ?  
ყოველი მხრიდან გვეხვევა მტერი!..

ჟურნალი „მხედარი“. – 1920. – 26 მაისი

სახალხო გპარდიას

სალამი იმათ ვინც მედგარ ბრძოლით  
ბოლო მოუღო შავ-ბნელ სამყაროს  
ხალხთა შურისა და მტრობის ნაცვლად.  
ძმობა ერთობა რომ დაამყაროს...

მაშ წინ გასწიეთ მოურიდეבלათ  
მოსპეთ ჩვენს ირგვლივ მტერთა თარეში  
რომ მალე ყველა ერთად შევიდეთ  
დიდის ხნის ნანატრ-ალთქმის მხარეში

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 12 დეკემბერი





ზეიმს ვიხდი, მომილოცე!

ზეიმს ვიხდი, მომილოცე ნულარ ცელქობ მოდი  
ჩქარა,  
დღეს საამო ხმებს გაჰფანტავს რაინდ ერის  
ბუკ-ნალარა!  
მოდი, მოდი ამდენ ტანჯვით გული ჩემი დაილარა,  
აღარ ძალმიძს რომ ვიტანჯო შენ მკრთალ ლანდის  
ანაბარა!  
ფრთებ გაშლილი, თავისუფლად მოგეხვევი ბროლის  
ყელზე,  
სადაც წავალთ იქით მომყე ქირში, ლხინში ბრძოლის  
ველზე

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 12 დეკემბერი

დ. მეჩონგურე

12 მარტი

გაზაფხულის მახარობელს, განახლების პირველ  
მერცხალს,  
ვის ლოდინში გული კვნესდა, სახე დაჭკნა,  
დაიღარა...  
დრო დაგვიდგა სანეტარო, მგლოვიარემ გაიხარა,  
და სიცოცხლის ნიშან წყარო გადაეკრა სახეს  
ფერ-მკრთალს.

მზე-ჭაბუკსა სხივთა მფრქვეველს შორ მიზნისკენ  
ხელებ განვდილს,  
ხალხის გულში სათუთად ზრდილს, მომავალის  
ნეტარ აჩრდილს, –  
ჩვენ ვუმღეროთ ტრფობის ჰიმნი ხალხის სურვილს,  
მშრომელთ ნებას...

გაიხარეთ, კვლავ გამხნევდით! – გადავძახოთ წელში  
დახრილს...  
მიულოცოთ გამარჯვება დამაშვრალთა იმედს  
გაზრდილს...  
ვაშა, ვაშა! საქართველოს დამფუძნებელ პირველ  
კრებას!

ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“. – 1919. – 16 მარტი

26 მაისი

(ნ. ნ. ჟორდანიას)

რღვევის ტალღა ჩვენს სუსტ ხომალდს ვით ნაფოტსა  
ათამაშებს:  
ხან ერთ კიდეს გადაისვრის, ხან ტალღათ მთებს  
დააჯახებს,  
ზღვის მორევის მოლოდინში მეიალქნეს უკრთის  
გული  
სამშვიდობოს გასცურავს თუ ბედით არის  
განწირული!  
ჰა, ნაპირიც ახლოს არის, ჰა სამშობლოს მოსჩანს  
მთები...  
სამშობლო დღეს მხიარულობს დიდი ხნიდან  
ნანამები...  
დღეს იქ ლაღათ დაფრიალებს ძმობის დროშა  
წითელ ფერი:  
დღეს განახლდა საქართველო და დღეს აღსდგა  
ჩვენი ერი!...  
და ხომალდიც მიჰქრის მალი... ხან მოსჩანს,  
ხან იმალება.  
ხან იმედის ნაპერწკალი ზღვის ბურუსში ისევ  
ჰქრება.  
რა მოელის მეიალქნეს: სიცოცხლე თუ ბედი მწარე?!  
აღარ ფიქრობს, – რადგან იცის ბედნიერობს მისი  
მხარე.

რღვევის ტალღა ჩვენს სუსტ ხომალდს ათამაშებს  
ვით ნაფოტსა...  
მეიალქნეც თავგანწირვით დღე-ღამ ებრძვის  
ტალღათ შფოტსა!

გაზეთი „ერთობა“. – 1920. – 26 მაისი

დღეს

(ექსპრომპტათ)

დელია ოდელა დელია... ზეიმობს სამშობლო მწვანეთი.  
ძველ კახეთს მოუხმობს გურია, იმერეთს ეძახის  
სვანეთი.  
ზარები მღერიან ქალაქში. სხვა გვარად მღერიან  
ზარები,  
სამშობლო მოუცავს სიხარულს. გამთბარა ძველად  
ნამწარები.  
დაფნა და ვარდები სამშობლოს. დასწნავენ შვილები  
გვირგვინებს,  
დადგება ამინდი მზიანი. ჩვენს ცაზე მეხი არ  
იგრგვინებს.  
სიხარულს, სიყვარულს ქვეყნისას ვერ იტევს დღეს  
ჩვენი მკერდები.  
მზიანო სამშობლო იხარე. ჭაბუკო შენ არ დაბერდები.  
იქნები, შენ აღარ მიჰქრები. ინათებს სულ შენი  
ლამპარი.  
შენია მთლად ჩვენი ფიქრები. და ჩვენი მკერდები  
დამფარი.  
ზარები მღერიან ქალაქში. ზეიმობს სამშობლო  
მწვანეთი,  
ცხელ კახეთს მოუხმობს გურია. ხელს უწვდის  
იმერეთს სვანეთი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. – 1919. – 26 მაისი

ჩვენს საამაჟო გვარდღას

აენთო აღმას – ბროლით...  
ძარღვებში სისხლი გახელდა...  
მოჰქრიან გმირები ბრძოლით, –  
მტერს უვლის სხეულში ელდა...  
მღერიან ჩაგრულათ მაყრულს  
ენტება აღამი სხივათ  
და მუხთაღს ხმალნაკრავ დაკრულს  
აზმორებს კანკალით ცივად...  
უხდებათ მტრის რაზმში შევლა...  
აღესენ სისხლში ხმღის პირებს.  
ქვეყნის მტერს კრულვა და წყევა...  
საღამი ჩვენს ძმებს... ჩვენს გმირებს...

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 9 ნომბერი

ჩემი პალი

მშვენიერი მქონდა პალი,  
მაგრამ იყო მოუვლელი;  
ზედ არავინ მაკარებდა,  
მუშაობდა სხვისი ხელი.

გაბატონდა შიგ ეკალი,  
შამბი, ჩალა, ხვართქლა, ლელი,  
ლენცოფა და ცუცუმყრალა,  
სხვაც რამ ბევრი უღეველი.

წარა-მარა მეპატრონე:  
ტურა, მაჩვი, მგელი, მელა,  
თრითინადან დანყობილი –  
თხუნელა და ჭიაყელა.

ფრინველები: ბუ და ჭოტი,  
მიკიოტი, ყვავი ძერა,  
ერთი სიტყვით ყველა მანე,  
ორპირი და გაიძვერა.

მაგრამ დაჰკრა ბედის ზარმა,  
მოვიკრიფე ღონე, ძალა,  
სანამ დაუტატანებდი,  
ყველა თავად მიიმალა.

ეხლა უვლი ჩემს პალს თავად  
და აღარ მაქვს მოუვლელი,



შიგ ტრიალებს ჩემი გული  
და მარჯვენა მოუღლელი.

ისე ტურფად ვაკობტავებ,  
ისე უვლი შიგ ყვავილებს,  
როგორც ჩემ ღვიძლ სისხლსა და ხორცს,  
როგორც დედა თავის შვილებს.

და იცით რა ბალი მაქვს დღეს?  
დიდებული, მშვენიერი!  
ჩემს ლამაზ ბალს დარაჯად ჰყავს:  
ჩემი გულის ქორვა ერი.

ვინც ჩემ ბალს არ მაპატრონა  
დღეს სწუხან და ინანიან,  
და მე კი ჩემს ტურფა ბალში  
ყვავილები მიცინიან.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. – 1919. – 26 მაისი

შვიდნი

1.

ყვავილებმა დამპატიუეს  
და მანვიეს მწვანე მდელოს,  
დამკოცნეს და ასე მითხრეს:  
გაუმარჯოს საქართველოს!

2.

წყარომ ტკბილად შემომცინა,  
ველმა გადაიხსნა გული,  
ჩამიკრა და მომილოცა  
საქართველოს გაზაფხული.

3.

გული მერცხლად გადამექცა,  
ფრთა ვცქვიტე და ავიქნიე,  
ჩემი ქვეყნის სიხარულით  
მზის სხივებში გავეხვიე.

4.

მეც თან ავეყ ვით ტოროლა  
და მივეკარ ცისარტყელას,  
ვარსკვლავები იძახოდნენ  
ვაშა, ვაშა საქართველოს!

5.

და მე კი ეს აღტაცება  
აქ ვარდისგან გავიგონე,  
ავგალობდი ბუღბუღივით  
და ფურცლებზე დავეკონე.

6.

შევარდენად შევიცვალე,  
გადვიფრინე შორი მთები,  
და რაც აქ არ გავიგონე  
იქ მოვფინე იგივე ხმები.

7.

ყველანი კი შვიდ მნათობის  
სახით უმზერთ საქართველოს  
და ერთის ხმით გავიძახით:  
იცოცხლოს და იდღეგრძელოს!..

ჟურნალი „ნაკადული“ – 1919. – №3-4

ძართველი ლაშქარი

ლამაზ-ლამაზი ბიჭები  
მზიურ ღიმილით ჰფერიან,  
მოდინ გამარჯვებულნი,  
საქართველოზე მღერიან.

მათ ბევრი ომი გადახდათ  
მკაცრი და დაუდგრომელი,  
მაგრამ ვინ დადგა იმათ წინ,  
ვინ იყო, სად და რომელი?!

გადაარჩინეს სამშობლო,  
იმისი ხალხიც მშრომელი,  
გაანადგურეს მტარვალი  
ქვენარმავალი, მძრომელი.

და ქუდი გვერდზე რო ჰხურავთ,  
მზიურ ღიმილით ჰფერიან,  
მოდინ გამარჯვებულნი, –  
საქართველოზე მღერიან.

ჟურნალი „ნაკადული“. – 1919. № 3-4

ფ. რუშაველი

## ლაშქრული

გავშალოთ დროშა ქართული, ხელი ხელს მივცეთ  
ძმურადა,  
მამულის გამოსასხსნელად წინ გასწით მამაცურადა;  
თავი გვაქვს გადადებული სამშობლოს სამსახურადა,  
ძმებო, მოსეულ მტარვალებს ვეკვეთოთ ვაშკაცურადა!

გახსოვდეთ, ძმებო, ჩვენა ვართ ჩვენი მინაწყლის  
მცველია,  
იგი არ დავთმოთ უსისხლოდ, შევლებოთ მთა და  
ველია!  
თავისუფლების დროშაზე მტკიცედ გვეჭიროს ხელია  
მამულისათვის სიკვდილი არ არის სანაღვლეელია!

მხედარნო, ქართველი ერი დღეს წელში გამართულია,  
სამშობლოს აღორძინება გულში აქვს დანერგულია,  
თან მოაქვს თავისუფლება, ძმობა და სიყვარულია,  
სხვა ერთან ძმური კავშირი მისი რწმენა და რჯულია!

ჟურნალი „მხედარი“. – 1920. – 26 მაისი

## საქართველოს

დღეს კიდევ უფრო გაანათებ, ასხივფერდები,  
გადაიშლება შენს ქუჩებზე წითელი ტევრი,  
აყივლდებიან არწივები იქ ბევრზე ბევრი, –  
და დაინახავს შენი მტრები, რომ არ ბერდები, –  
დეე, გაიგონ რომ შენცა ხარ მსოფლიოს წევრი,  
მიყვარს სიცოცხლე, განსაცდელის წინ არ ჩერდები,  
უკეთეს შვილთა სისხლით მორწყე კლდე-ლრე,  
ფერდები

და სამუდამოდ მოიშორე მონობის კვერი!  
და ეს იქნება უკეთესი საბუთი, მჭევრი,  
როს გვწვევიან უფხოეთით თეთრი მხედრები,  
რომ მოკრძალებით მოიხარონ შენს წინ ქედები,  
არ მოგიხადონ უნებურათ მარანში ქვევრი!  
დღეს კიდევ უფრო გაანათებ, ასხივფერდები,  
გადაიშლება შენს ქუჩაზე წითელი ტევრი,  
აყივლდებიან არწივები იქ ბევრზე ბევრი, –  
და დაინახავს შენი მტრები, რომ არ ბერდები!

გაზეთი „ერთობა“. – 1919. – 26 მაისი

26 მაისი

შუქურამ შუქი მოფინა  
და იადონმა ანათა,  
მზემ, უთვალავი სხივები  
აფრქვია მთად და ბარათა.

ლამის გუშაგმა ქათქათი  
მზეს შეუერთა ძმურათა,  
დიად ჩირაღდნათ ქცეული  
ნათელს ჰფენს ამაყურათა

ზეიმობს მთელი ბუნება  
ქართველთა მთა და ბარია,  
მტერს შხამი აღრჩობს... ბოღმა ჰკლავს  
მარა რა ჩემი ბრალია.

დავითი აღმაშენებლობს,  
თამარ კეკლუცობს ნაზათა,  
დავით სოსლანი მეჯლისობს...  
რა შვენის რა ძვირფასათა?

შოთა რითმაობს, გორგასლანს  
ხელს შუბი დაუჭერია...  
ბაყათარ პირქვე აგდია,  
შუბის წვერს გაუგმირია...

ქართველი ისევ ქართველობს,  
თავის თავისი პატრონი,  
სხვას არ ბატონობს, არც უნდა  
რომ იყოს სხვისი ბატონი.

ქართველი ჭირის და ლხინის  
ათასჯერ განაცაღია...  
შარავანდედით შემოსავს  
თვისსა სამეფოს, ცხადია.

მაშ ყანნი ხელში, ქართველო,  
აზარფაშა და ბადაა  
მტრის მუსრვა... მეჯლისში ლხინი  
ქართველთა დანაბადია

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007. – ტექსტიდან ფურც. 7



სახალხო გვარდიელებს

როდესაც მტრებს ჩვენს მხარეზე ყოველ მხრიდან  
მოზღვავებულთ,  
ნუთიერი გამარჯვებით თავბრუ დასხმულთ,  
დაბრმავებულთ,  
სურდათ ჩვენი აოხრება, სურდათ ჩვენი მთლად  
აკლება,  
სურდათ ფეხით გაეჯიჯგნათ ხალხის ნება და  
უფლება;  
როცა დროშა გამარჯვების ეცემოდა, იხრებოდა,  
როდესაც შინ უგნურთ ხელით ძმათა სისხლი  
იღვრებოდა,  
როს არყოფნას გვიქადოდა ულმობელი ბედის წერა,  
– მაშინ აღსდგა ჩაგრულთ მხარე, მაშინ აღსდგა  
ტანჯულთ კერა;  
ბრძოლის ცეცხლში გამომწვარნი თვისი გმირნი  
სწრაფლ დარაზმა,  
ხელში მისცა ძლევის დროშა, ხსნის იმედით  
მოუკაზმა,  
და წარგზავნა ბრძოლის ველათ... და, ჰა, აღზსდგენ  
ლომგულები,  
დაჰკრეს ბუკი და ნალარა, მოიმარჯვეს თოფი,  
ხმლები,  
უნყეს მუსკრა მუხანათ მტრებს გააფთრებით,  
თავგანწირვით,

მთლად ქვეყანა გააკვირეს აურაცხელ მსხვერპლთ  
შენირვით.  
და დღეს თუ აქ არ ირყევა ახალ ყოფნის  
საძირკვლები,  
დე, იცოდეთ! მას ამაგრებს გმირთა სისხლი, გმირთა  
ძვლები!!  
და დღესაც ხომ მხნეთ იცავენ უზენაეს ხალხის ნებას,  
გნამდეთ არვის შეარჩენენ მის შებიღწვა, შეგინებას.  
თუმცა დღემდე ბრძოლის ველზე გმირნი იყვნენ  
მარტო, ობლად,  
თუმც არვინ არა ჰყავდათ ჭირში მხარის  
შემამკობლად  
მაგრამ დღეს ხომ ირაზმება, საქართველოს ნორჩი  
ჯარი,  
ისინიც მას ხელ, უწვდიან!.. მაშ, ხელი ხელს, და  
მხარს მხარი!

ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“. – 1918. – 8 დეკემბერი

რისკუბლიკის ჯარს

ბრძოლის ცეცხლში გაიჭედა ჩვენი ბედი  
გაზაფხულზე, –  
როცა მტერი ჩვენს სამშობლოს უმიზნებდა ლახვარს  
გულზე,  
როს ურდოებს მადა-გახსნილს, თვის სწრაფვაში  
შეუპოვარს,  
ჩვენ ვებრძოდით და ვიცავდით ჩვენი ბრძოლით  
მონაპოვარს,  
მაშინ ორგულთ შინ და გარეთ თუმც მოგვიდეს  
ცეცხლის ალი,  
მაგრამ ჩვენ არ დავბნეულვართ, გამოვნახეთ გზა და  
კვალი,  
და მუხანათ მტრის წინაშე ქედი აღარ მოგვიხრია,  
და ჰა, დროშა გამარჯვების დღემდისაც ხომ ხელთ  
გვიპყრია...  
და ამისთვის განა ვინმემ მოგვასმინეს ვაშა, ტაში??!  
– არა!! მტრებმა შინ და გარეთ შექმნეს დრტვინვა და  
განგაში.  
– და ეს დრტვინვა, ეს განგაში დღემდისაც ხომ არ  
დამცხრალა,  
მათ აშინებთ, თავ-ზარსა სცემს ერთობის და ძმობის  
ძალა!..

ფხიზლად ძმებო! ყოველ მხრიდან ილესავენ ჩვენზე  
კბილებს!..  
მაშ, შემოვკრბეთ, ვით შეშვენის თავისუფალ ხალხის  
შვილებს,  
დავირაზმოთ და მუხთალ მტრებს დავსცეთ რისხვა,  
დავსცეთ ზარი!!  
დეე, იგრძნონ, თუ რა არის საქართველოს მძლე  
ლაშქარი...

ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“. – 1918. – 8 დეკემბერი

დაბრუნება საქართველოში

ლიხს იქით და აქით, მტკვარს, ლიახვს და ფაზისს  
არქმევენ უდაბნოდ გადაშლილ ოაზისს,  
სადაც მზე მწველია, ცხელია ქარები,  
მცხეთაში გრიალით მიჰქრიან ზარები,  
გუგუნებს იტრიის ხეობა უღრანი,  
და ოხრავს წარსულზე ნანგრევი მუხრანი.  
ყოველგან უჩინრად ტირიან დანაკლის  
თამარის ტაძრები და ძვლები ირაკლის.

და

ყოველ საფლავზე, მზის ყოველ ღეროზე,  
ხაზებით იშლება ელადა, ეროსი!

სალამი,

სალამი სამშობლოს!

სალამი ჩემს ძვირფასს სამშობლოს!

სალამოს ლანდებად ბურუსი ნიავის

მიდამოს სდებია...

გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?

ეს ჩემი სამშობლოს მთებია!

მე რაღაც იდუმალ მოლოდინს ვუნდები...

ირგვლივ ზვირთებია

და გემი „დალანდი“, რომლითაც ვბრუნდები!

გვარდია

თვალს ნაზი და მთვარეული  
აღელვებდენ ლანდები  
ვიყავ თქვენში ჩარეული  
ლხინით თვალ-ანანთები.  
მოგვეჩვენა ტრიანონის  
კოშკში გულის ნდომანი  
დე გრეისა და მანონის  
სეკდიანი რომანი.  
მივაფრენდით ქარში მერნებს,  
ჭიხვინებდნენ მერნები,  
სასახლეებს და ტავერნებს  
ცვლიდენ სხვა ტავერნები.  
და ვხედავდით როგორ იღებს  
სულს ვედრება ხალისის  
და ვხედავდით ცისფერ ნილაბს  
მხოლოდ ერთი ქალისას  
სამშობლოზე ოცნებები  
თითქო შვლის სიმარდია...  
წინ, გვარდია! შენი ხმები  
მხოლოდ სხვაზე დარდია.

გაზეთი „ერთობა“. – 1920. – 12 დეკემბერი

გვარდია

ვდღესასწაულობთ პირველ თაველებს  
მოსასწაულე ვარდთა დაგებით.  
ბალებს რტოები ააყვავილებს  
აივნებს ნოხი და ფარდაგები.  
განთიადისას წავედით ტყეში  
თვალეbs მოედო ელვა წყაროთა  
ყვავილს, რომელსაც ჰქვია ნუგეში  
ჩვენ დავეძებდით და გვიხაროდა.  
ვეძებდით ომებს, მტრების ხაზინას,  
თოფების ბოლი ცრემლებს გვადენდა,  
არც მოგვასვენეს, არც დაგვაძინეს  
და ასე, აჰა, შემოგვათენდა.  
უეცრად მტერი ავშალებთ მთაში  
გამოვედევნეთ ისართ ჯირითით.  
შეკრთობით დაკრეს ფოთლებმა ტაში.  
ჩვენც სიხარული არ დავირიდეთ.

გაზეთი „ერთობა“. – 1920. – 12 დეკემბერი

26 მაინისთვის

დღეს დღე არის პოლიტიკურ მონობის დამხობისა,  
დღეს დღე არის ამირანის მკვდრეთით აღდგომისა,  
დღეს დღე არის დასაწყისი მის აღორძინებისა.  
დღეს დღე არის ხალხთ შორის ერთობის  
დამყარებისა.  
საქართველოს მკვიდრ ცხოვრების დღეს შესრულდა  
ერთი წელი,  
თუმც ჩვენს ხალხს გადახდა, დიდი დაგვა გრძნობის  
მწველი;  
მაგრამ მაინც მტკიცედა ვართ არ შედრკება ჩვენი  
გული;  
როს ჩვევია ქართველ ხალხსა ხელი გულზე  
დაკრეფილი.  
წინ მედგრად!!! არ გვეშინია გარდამავალ დროთა  
სვლისა,  
ეს დრო ჩვენთვის უღმობელი, მალე, მალე გაივლისა.  
ხალხთ შორის დამყარდება ძმობა, ერთობა,  
სიყვარული,  
გრძნობა ხალხის გაბრწყინდება არ იქნება  
მოდრუბლული.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1-  
1007. – ტექსტიდან ფურც. 50



26 მაისი

ერის ცრემლზე, გმირთა ძვლებზე,  
ძლივს იფეთქა გაზაფხულმა,  
და გულ-წითელ ყვავილებზე  
შემოვცახე ვით ბულბულმა!

ყოვლად  
სრული  
სიხარული,  
სილამაზე,  
სიყვარული, –  
მოცქრიალდა,  
მოშრიალდა, –  
გაზაფხული!!  
გაზაფხული!!!  
ცეკვავს ყველა, მღერის ყველა,  
ფერხულია, ლაღობს ერი;  
თავს უდაფნის ცისარტყელა,  
შვიდ ფერი და მშვენიერი!  
დიადია ეს დღეობა,  
ეს პირველი გაზაფხული!  
საეროა ეს ღრეობა,  
ას წელიწადს დამარხული!

გაზეთი „ერთობა“. – 1919. – 26 მაისი

გ. ქუჩიშვილი

### სახალხო გვარდია

გუგუნი გააქვთ ქუჩებში სახალხო გვარდიელებსა,  
ბანს აძლევს დედა-ქალაქი თავისუფლების მცველებსა!

მოდინ, ცას მოარღვევენ საგმირთაგმირო ჰანგითა,  
წინ ვეგებები საყვარლებს ამღერებული ჩანგითა!

მოჭქრიან, მოყიჟინებენ დროშების ლალი ფრენითა,  
ისეთი სანახავია, ვერ გამომითქვამს ენითა!

მსურს ყველას გადავეხვიო და დაუკოცნო პირიმე,  
მაგრამ ცრემლები მერევა და სიხარულით ვსტირი მე!

გაზეთი „ერთობა“. – 1920. – 12 დეკემბერი

ვაშა გვარდიას!

ვაშა, ვაშა, სახელოვან  
მამაც გვარდიელებს!  
თავისუფალ საქართველოს  
რესპუბლიკის მცველებს!

ვაშა, ვაშა, მათს გმირობას!  
ვაშა, ქვეყნის მხსნელებს,  
ჩვენს იმედს და სასოებას,  
მტერთა შიშის მგვრელებს!

გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას! –  
ვაშა, – ქვეყნის მხსნელებს,  
ჩვენს იმედს და სასოებას!  
მტერთა შიშის მგვრელებს!

ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. – 1919. – 12 დეკემბერი

ვაშა მეთაურთ!

ჩემო სამშობლოვ მკვდრეთით აღდგომას,  
გილოცავ გულით, აღფრთოვნებული,  
დღეს გაგვიცოცხლდა ვახტანგ-გორგასლან,  
მეფე დიმიტრი თავდადებული:  
პატარა კახი, ნინო, ქეთევან,  
დავით, გიორგი გაბრწყინებული,  
მცხეთოს, ფარნაოზ, დიდი თამარი  
და სააკაძე ომში ქებული.  
მეფე ერეკლე მხიარულ სახით,  
დინჯად გაჰყურებს კრწანისის ველებს,  
და პირჯვრის წერით ღმერთსა ავედრებს  
ჩვენი სამშობლოს მამულის მცველებს;  
ლეონიძე და ხიმშიაშვილი  
მეტეხის ციხეს კვლავ დარაჯობენ,  
მსაჯულთ-მსაჯული თავის მრჩევლებით  
ძველებურადა ქართულად ბჭობენ.  
გოგი დიაკონს გაჰხარებია,  
აღარ რეკს ზარას სამგლოვიაროს,  
და საბა-სულხან ორბელიანი  
ღვთის მშობელს შესთხოვს კვლავც მოგვიაროს.  
ვაშა მეთაურთ, რომ გამოგვიხსნეს,  
ამდენი ხნობით დამონებული,  
მეც მრწამდა სულ არ დაეცემოდა  
დიადი სულით ამაღლებული!..

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 9 ნომბერი

სადღებრძელო

(26 მაისის სახსოვრად)

გაუმარჯოს საქართველოს,  
იმის მოდგმას, იმის შვილებს;  
გაუმარჯოს ვინც ქვეყნისას  
ჭირს და ვარამს ინანილებს...  
გაუმარჯოს ჩვენს მეომართ,  
სამშობლოს არწივ-გმირებს,  
ვინც მამულსა ისე უვლის,  
როგორც კრუხი თვის წინილებს!..

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 26 მაისი

ქართული ეროვნული ჰიმნი

(„ალიფაშას“ ხმაზე)

აბა ფხიზლად ქართველებო! მივეყვით მამა-პაპათ  
კვალსა!  
ნარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩაუფიქრდეთ  
მომავალსა!  
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს  
ცალსა!  
და ყური უგდოთ გურჯი-ბოლახს და ნუ ვაღებთ  
დარიალსა!  
მოსწონდათ და ახლაც მოსწონთ ჩვენი ქვეყნის მთა  
და ველი  
მზით დამწვარი ჰიჯაზელი, გაყინული ჩრდილოელი,  
სპარსი, თურქი, ლეკ-მონღოლი, ბერძენი თუ  
რომაელი,  
და ყველა ჩვენსკენ ისწრაფოდა, ყველა,  
მაშრიყ-მალრიბელი.  
იყო დრო რომ მმართველობა, სამართალი გვექონდა,  
სხვისი.  
ბაღდადას თუ ყარაყორუმს გზები გვედო ათას  
დღისი.  
მტრისგან ბევრჯელ დარბეულა ტფილისი და  
ქუთაისი,

და იმედს მაინც არ ვჰკარგავდით, – სული გვახლდა  
შოთაისი.  
სად არ დგმულა ჩვენი ფეხი? სისხლი სად არ  
დაგვიღვრია?  
ერანს, თურანს, ავღანისტანს ყველგან ჩვენი ძვლები  
ჰყრია.  
ფიცხელ ომში გახურვებულთ ევფრატ-დიჯლა  
დაგვიშვრია  
და ჩვენის სისხლით შეღებილი ვისლა დღესაც არი  
მღვრია.  
ოთხი დიდი სახელმწიფო მოგვიჭამ-გაგვიცვეთია:  
სადლა არი ძველი რომი, ან ძლიერი სპარსეთია?  
არაბების ძლიერება, ამბობენ, დღეს ზღვის წვეთია.  
და ვის ახსოვს მონღოლები? სხვების ბედიც აგეთია!  
სამი ათას წელზე მეტი გვიცხოვრია, როგორც ერსა.  
მრავალ შავს დღეს მოვსწრებივართ, მაგრამ  
ბევრსაც ბედნიერსა,  
უსიკვდილოდ არვის ვუთმოვბთ ჩვენს სამშობლოს  
მშვენიერსა.  
და გვიმღერნია, კვლავაც ვიმღერო ჩვენს ტკბილს  
მრავალ-ჟამიერსა.  
სანამ იდენს ალაზანი, ჭოროხი და რიონ-მტკვარი,  
სანამ თავზე მცველად გვადგას ცივ-გომბორი,  
ლიხ-მყინვარი,  
არ მომკვდარა, არც მოკვდება, საქართველო  
მოცინარი,  
და მეტად აღარ შემცირდება მისი სივრცე, მისი  
მზღვარი.

აბა, ფხიზლად ქართველებო! მივყვეთ მამა პაპათ  
კვალსა!  
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩაუფიქრდეთ  
მომავალსა!  
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს  
ცალსა!  
და ყური უგდოთ გურჯი-ბოლახს, ნუ, ნუ ვალებთ  
დარიალსა!

ჟურნალი „პრომეთე“. – 1918. – № 1



## აღფრთოვანება

განგებითა საქართველომ მტრები თვისი განიშორა,  
ამირანმა ბორკილები დალენა და მოიშორა,  
აღსდგა მკვდრეთით საქართველო, ხმა მომესმა ძირს  
მიწიდან  
და მეც ლალი, ფრთა გაშლილი, გადმოვეშვი ცის  
სივრციდან.  
შევიკვეცე სიხარულით საოცნებო ჩემი ფრთების  
და განვშორდი ტკბილ ოცნებას, ამიცხადდა იმედები  
რა ვიხილე ტურფა მხარე მღელვარე და მოამაყე,  
განვიცადე სიტკბოება და უბედური სიამაყე.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1918. – 2 სექტემბერი

ვარლამ ჩლაიძე

## ოცნება

სიყრმიდანვე დავსტიროდი ჩემს სამშობლოს, მონურ  
მხარეს,  
მისი ხვედრით ვიტანჯოდი, მზეს ველოდი  
მოელვარეს,  
და დავფრენდი ცის სივრცეში, ვშორდებოდი ტურფა  
მდელოს,  
სად ოცნებით მე ვპოებდი თავისუფალ  
საქართველოს;  
და იქ მხოლოდ განვიცდიდი წუთიერსა სიამაყეს,  
იქ ვხედავდი ქედმოღერილ ქართველ გმირებს  
მოამაყეს.  
და იქ იყო ჩემი ბინა, სამლოცველო ჩემი ხატი,  
ფრთა გაშლილი საქართველო, ოცნებითა  
დანახატი...

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1918. – 2 სექტემბერი

ჯარის კაცის სიმღერა

გაშაღეს დროშა  
ჯარი შეჰყარეს...  
საქართველოზე მოდის მტერიო.  
არ შეგეშინდეს ჩვენო მშობლებო.  
შიში არ იგრძნო  
ტურფა მამულო,  
ქართველის ხმალი  
ჯერ არ შემდგარა,  
მტერს ზურგი ქართველთ  
როდის აჩვენეს?..  
დღესაც ქართველი  
გაამაყდება და ბრძოლის ველზე  
წავა სიმღერით,  
ნუ გვერჩი მტერო  
თორემ ჩვენ ხმალსა  
ბევრი თქვენგანი უნაცვლებია.

გაზეთი „ბათუმის ფურცელი“. – 1920. – 27 ნომბერი

26/5

ბნელი ღამეა – სულის მსუთველი.  
ირგვლივ მკვტარია ის არე მარე,  
სად მიჯაჭვული კლდეს ამირანი  
იბრძვის და ომობს რისხვით მჭექარე.  
თავისუფლების მაძიებარი  
მთელ საუკუნე არავის არ ინდობს,  
და იქ ჯურღმულშილ ობლად-მარტოკა  
ვითა მანქანა დაუდეგ ომობს.  
ომობს და ომობს რაინდი გმირი,  
პირიდან აფრქვევს აღმურად ცეცხლსა,  
და მთელ სხეულით აქცევს-ვით წყაროს,  
თავისუფლების მდულარე ოფლსა.  
თანაც იმედით ირგვლივ გასძახის  
– დრო ახლოვდება, აღვსდგებით მტვრეთით,  
და გამოჩდება სრული სიმართლე –  
– გავდევნი მტარვალთ ამ ბოლო წუთით.

და გარიჟრაჟზე – ოცდა ექვს მაისს  
მზემ სხივთაფრქვევით როს ამონვერა  
ბნელი ის ღამე დაუნდობელი  
გააქრო კიდეს გადააბარა,  
მაშინ ამირან გამხეცებულმა  
აღმური ცეცხლი ჯაჭვებ აქცია  
და მთელ არსებით გმირთა-გმირისა

ნაფლეთ-ნაფლეთად იგი აქცია.  
ბორკილ ახსნილი გმირი ამირან  
ზე ასულ იყო თავისუფლად,  
და წითელ დროშით – მჭექარე ხმითა  
ჩაგრული ქვეყნის ზურგს გადასძახოდა:  
„აღსდგა მტვრეთითის, რომლის ხსენება  
დიდება იყო უხსოვარ დროის;  
მონობის შემდეგ – ბორკილ აყრილი  
მე ვარ საუნჯე ძმობა ერთობის.  
მოდით მოძმენო – მშრომელო ხალხნო,  
თქვენც ჩაერივნეთ ამ ჩვენს ლხინშიდა;  
მარად გახსოვდეთ, რომ ეს დღე ჩვენთვის  
უვინყარი არს თუმც გინდ ჭირშიდა.  
და თუმც პირველი ეგა მაისი  
შობა არს ჩაგრულ ხალხისა,  
მაშინ იმისი მეოცდაექვსე  
დღე აღდგომაა ქართველ მშრომლისა.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007 – ტექსტიდან ფურც. 30

## მონოდეზა

ვით პირველ მერცხალს გაზაფხულისას  
ვით განთიადის პირველ ტოროლას,  
იმედით გულში და თანაგრძნობით  
ჩვენ ვეგებებით შორიდან ბრძოლას.  
დღეს პირველადა ჩვენს ქვეყანაში  
გაისმის სიტყვა თავისუფალი –  
და პირველ ალსა, ერთხელ ანთებულს,  
ან ვერ ჩააქრობს ვერა რა ძალი.  
ვინც უნდა იყვეთ, მხნე მეომარნო,  
მიიღეთ ჩემგან სალამი ძმური,  
თქვენ დასცით ჩვენში ბრძოლის ნალარა,  
თქვენ პირველობა გხვდათ საამური!  
მსოფლიო ომში, სადაც სიბნელეს  
მედგრათა ებრძვის ძალა ნათელი,  
თქვენ ჩაერიეთ, უშიშრად ძმებო,  
და შეიყვარეთ რაზმი ქართველი!  
ადრე თუ გვიან, ველი მისია,  
და ის დარჩება ომში მძლეველად,  
ვის დიად საქმეს მშრომელთა ოფლი  
უდევს საფუძვლად შეურყეველად!  
და იმ დღეს, როცა თავისუფლების  
ქვეყნად ცხოველი მზე გაბრწყინდება,  
ჩვენს მშობელ ხალხსა სისხლით ნაყიდი  
სიცოცხლის სხივი დაეფინება!..

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 20 აპრილი

თავისუფალ საქართველოს

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ქართველთ აკვანო  
მხარეო  
კმა გეყო მრავალ წამებულს, რაც დღემდე ცრემლი  
ღვარეო,  
კვლავ გაგინათლდა წყვილიადი, შეგემკო არე მარეო,  
აგიყვავილდა წიაღი, მონალკოტ-მოზალნარეო;  
გელირსა, რასაც ნატრობდი იდუმალ  
გულ-მდუღარეო;  
შენს სახლში გერად აღარ ხარ სხვის ნებად  
მომთაბარეო;  
თავის თავადი შეიქენ, დასტკები და გაიხარეო!  
აბა შენ იცი, სულისდგმავ, ღვთაების სწორო მხარეო;  
ვით შეიფერებ ამ მადლსა, როგორც შინ ისე გარეო.  
ნატვრის თვალს მოვლა სჭირია, თან დაცვაც ერთობ  
ცხარეო.  
აქ გინდა გმირთა გმირობა და გული გრძნობიარეო,  
გამჭრიახობა, გაჭვრეტა, ნამუსის სინარნარეო,  
მსხვერპლი, მონამის გვირგვინი, ბრწყინვალე  
მოელვარეო.  
უმსხვერპლოდ მზე არ გიმზევებს, არცა გიმთვარებს  
მთვარეო  
არ შეგვირდომებს ის დროშაც, რომელსაც  
შეეფარეო.  
ამაღლდი, აზუმბერაზდი, აუგზენ ტურფა მხარეო!  
გაერთდი, გაკაჟ-ფოლადდი, ეჭვები უკუ ჰყარეო,

ხელთა აიღე ფარ-ხმალი, გმირულ ღვანლს  
დაუჩქარეო,  
და შეიმტკიცე ის მაღლი, რომელსაც ეზიარეო.  
კურთხეულიმც იყავნ ამ გზაზედ, თვალთა სინათლე  
მხარეო,  
აგცდეს კვლავ ყოფნა ბაბილონს და მუნ ტყვეობა  
მნარეო!

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 14 სექტემბერი



ოცდაექვსი მაისი

ოცდაექვსო მაისო,  
ჩვენო შვებავ ხალისო,  
გაგვამხნევე, რომ შიში  
აღარ გვეკონდეს ხვალისო!

ოცდაექვსო მაისო,  
ჩვენო სვეტო ნათლისო,  
უხვად გვფინე ნათელი  
შენის უხვი მაღლისო!

ოცდაექვსო მაისო,  
უკვდავების სასმისო,  
დაგვანაფე შენს წყაროს,  
მოგვეც გრძნობა სამისო!

ოცდაექვსო მაისო,  
ჩვენო ოქროს საწმისო,  
ოქროს ხანა მოგვმადლე,  
მტკიცე მარად ჟამისო!

ოცდაექვსო მაისო,  
ჩვენ ორგულთა სადგისო,  
აგრძნობინე იმათაც  
გემო შენის მაღლისო!

ოცდაექვსო მაისო,  
ჩვენო შვებავ, ხალისო,  
ღირს გვყავ მეტის ზეიმით  
შეგეგებოთ გაისსო!

გაზეთი „ერთობა“. – 1919. – 26 მაისი

დღესასწაული

(26 მაისი)

დღევანდლამდის მუნჯი ვიყავ  
დღეს მეტყველობს ბაგე:  
სიხარულით ტოკავს გული.  
ტრფობით დავიდაგე  
ჰა, მიეცა ჩემს სამშობლოს  
თავის შნო და ფერი!..  
გაიგონეთ ფეხზე დგება  
ჩემი ტურფა ერი!..  
წელია თავს უვლის  
არვის არ ნებდება  
მტრებსა ქედს არ უხრის  
მას გმირულად ხვდება!..  
გაუმარჯოს მის მცველთ  
გვარდიას და ჯარსა,  
ჩვენი ქვეყნის მცველებს,  
ჩვენი ქვეყნის თვალსა!..  
გაუმარჯოს ჩვენს ხალხს  
და მის საქართველოს!..  
თავდაცვისთვის გმირსა,  
მუდამ სასახელოს!..

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 26 მაისი

ნაუშლელი თარიღი

(26 მაისი)

რა კარგია მაისი  
ოცდა ექვსი მაისი,  
ჩემი ერის მშვენება,  
ჩემი ერის ხალისი!..  
რა კარგია რა კარგი...  
ტურფა, ლალი ფაქიზი, –  
დღეს მზის სხივით დათვრება  
ბილილა და ნარგიზი...  
ეს დღე წინსვლის დღე არის,  
დღე ვარდებით ნაქარგი...  
ამ დღემ ჩემს ერს აჩუქა  
საუკუნით ნაქარგი.  
ეს დღე მუდამ იქნება  
საქართველოს ხატებად,  
ახალ ყოფნის სიმბოლოდ  
წინსვლის ჭეშმარიტებად...  
და იცოცხლებს, იცოცხლებს –  
ოცდა ექვსი მაისი –  
ჩემი ერის მშვენება,  
ჩემი ერის ხალისი!..

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1920. – 26 მაისი

მეომარი

დაჰკრა საათმა, მეძახის გმირსა,  
უებრო სატრფოს სული და გული:  
ჩემი არსების დიდი სიცოცხლე  
ჩემი სამშობლო, ჩემი მამული.  
მეძახის: მიხსენ ტყვეობისაგან  
შენი აღმზრდელი, შენი აკვანი;  
მომეცი შვება შენთვის ერთგულსა,  
მომხსენ ბორკილი, დამხსენ საკანი.  
ყურში ჩამძახის: რისთვის აღგზარდე,  
თუ გახდებოდი სხვის მორჩილ-მონა,  
ჩემი არსების დიდი მშვენება  
შენს სათუთ გულ-მკერდს არ ჩაეკონა?!.  
და აჰა მეც დღეს მივალ საომრად,  
არ მსურს ვატარო მონის უღელი,  
მივლენ-მოვლენო ხუნდ-ბორკილები,  
სულის მტანჯველი და გულის მკვლელი.  
მინდა დავიხსნა მშობელი კერა,  
სადაც მიმღერდა დედა ნანასა,  
სადაცა ჟღერდა ჩანგი შოთასი  
ქართველ ერისთვის ოქროს ხანასა  
დედავ, მშობელო, გზა დამილოცე,  
რომ შენის ლოცვით ვიყო ძლიერი,  
ვიხსნა მამული მტარვალეებისგან,  
ვიხსნა სამშობლო და ჩემი ერი.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1919. – 20 აპრილი

## დღევანდელი დღე

მაისი – ტურფა, საყვარელი და ცხოველმყოფელი  
მაისი!..

იგი აღორძინების, განახლების და ახალი სიცოც-  
ხლის წინამორბედია...

მისი ნაზი მზიანი დღის სხივები ჩასწვდა გულის  
სიღრმეში ტანჯულ მხარეს, და მრავალ ზამთრის  
სუსხში გათოშილი ფოთლები კვლავ გაანედლა, აამ-  
ნვანა, ააშრიალა...

და აი, შარშან, სწორედ ამ დღეს – 26 მაისს –  
კვლავ გაცოცხლდა იგი, აღსდგა მკვდრეთით ძირს  
გადებული, დამცირებული და შეურაცყოფილი.

ერთი წელიწადია მას შემდეგ რაც ძაძით შე-  
მოსილმა მტირალმა მშობელმა ჰპოვა თავისი ნამებუ-  
ლი შვილი.

უკუ აგდო დედამ გლოვა და მწუხარება.

ძაძები შესცვალა სიხარულის სამკაულებმა.  
ცრემლის ნაცვლად, მშობლის სახე ნეტარების სხივმა  
შემოსა. ხალხმა იგრძნო დედის ბედნიერება, ახმაურ-  
და, ამოძრავდა, ერი აღფრთოვანდა, ირგვლივ გაისმა  
ხოტბა და დიდება, ქვეყანას მოეფინა ჰანგი წმინდა  
საგალობლისა...

ერთი წელიწადია რაც ერი გალობს ამ საგალო-  
ბელს...

ბევრი ხმაურობს, ჟრიამულსა სტეხს, ხელს გვიშლის. მაგრამ ერის ხმა უფრო მტკიცედ და იმედიანად მოისმის.

დღეს საქართველოს უდიდესი დღესასწაულია.

ერთხმად შეასრულებს დღეს ქართველი ერი თავის ეროვნულ ჰიმნს, ერთხმად იგალობებს იგი საერთაშორისო ინტერნაციონალს!..

გაუმარჯოს ამ წმინდა საგალობლებს.

სალამი და გამარჯვება ჩვენს საყვარელ მშობელ დედას – საქართველოს – და მის პირმშო შვილს – დემოკრატიულ რესპუბლიკას! –

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007. – ტექსტიდან ფურც. 42

სალამი საქართველოს თავისუფლებას

დღეს სხვა დილა გაგვიტენდა  
ცქრიალა და მხიარული!  
გულსა და სულს აცისკროვნებს  
ერის კისკის-ყრიამული!

ცეცხლის ბურთი მონარნარებს  
პირ-მცინარედ ამოსული  
ჩვენთან სტკება სააკაძის  
სული ციდან ჩამოსული!

კავკასიის გზაზე „მერანს“  
ამირანი მოაქროლებს,  
ბორკილები აუხსნია –  
ყვავს და ყორანს ეს ათროლებს...

ერთი შეხვით, რა ყოფა აქვთ,  
ყური უგდეთ ბაღში ფრთოსნებს!  
თითქო „ჰიმნსა“ უგალობენ  
საქართველოს წარსულ მგოსნებს!

ჭოლაკიდან ხმა მოისმის  
წყაროს ლუკლუკ-რაკრაკისა,  
ილიას ჩანგს უერთდება  
სიმთა-ჟღერა აკაკისა!



ვაჟა მსმენელს აფრთოვანებს,  
ციურ ჰანგით გულს აუძგერს  
და „სამშობლო ხევსურისას“  
რაფიელი ტკბილად უმღერს!

ყველანი აქ შეკრებილან  
მოღვაწეთა წმინდა სულნი  
თვისი ერის შვეებისათვის –  
ამ დღისათვის მონატრულნი!

კლდეებიდან თამაშობით  
მორბის, მოხტის ნაკადული,  
ფიანდაზად ეფინება  
არე-მარე მოქარგული!

ივერიის კონა იკვრის,  
მზის სხივები ზედ ეფრქვევა,  
ფრთა-შესხმული დილის სიო  
მის თაიგულს ყელს ეხვევა!

ხავერდით მწვანე სუფრა  
გაუშლია ხასხას მდელოს;  
დღეს ლხინი აქვს გამართული  
ჩვენს კოპწია საქართველოს!

ყველა მხრიდან ულოცავენ  
თავის დროშას, თავის ალამს!  
მეც პატარა მოშაირე  
ჩემის ლექსით ვუძღვნი სალამს!

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007. – ტექსტიდან ფურც. 49

ლილინი მიგობრულად

(26 მაისისთვის)

ჩვენი რესპუბლიკის  
შესრულდა წლის თავი,  
დღეს ჩვენვე გვეკუთვნის  
საკუთარი თავი!  
არ გეტანჯავს სტრაჟნიკი,  
არც ძველი პრისთავი,  
(ახლები ვარესობს  
ზოგი ვირისთავი!)  
ბევრი დაბრკოლება  
ვსძლიეთ, გადავლახეთ,  
ბრძოლაშიც ვივარგეთ  
და მტრები გავლახეთ,  
მაგრამ ბევრი რამეც  
კი გვაქვს დასაძრახი,  
(მტრობით თუ ვამბობდე  
გავხდე დასამარხი).  
ვინ მკითხავს მე რჩევას,  
ან ვინ გამიგონებს,  
მაგრამ გულს მაკლია  
რომ ვსჭრით ამდენ ბონებს.  
გავიგოთ სად მიდის,  
კანტროლები გვყავდეს,

(მამაჩემს ცხონება,  
რამდენიც ყლაპავდეს).  
არ უნდა მტკიცება,  
გოგიტელას ლისტი  
რომ ჩვენში ბევრია  
ცრუ სოციალისტი,  
რომლებიც ვითომდა  
ქვეყანას ასწორებს,  
(ნამდვილად – იტენავს  
ჯიბებს და ტორებს!).

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. – 1833 – 1 –  
1007. – ტექსტიდან ფურც. 104



## შენიშვნები

**ახვლედიანი დარია** (ხუნდაძე დარია – 1878-1941, სხვა ცნობით 1873-1941) – პოეტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. (ფსევდ.: დიანა). უშვებდა ქალთა ჟურნალ „გუშაგ“ (1907). თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის, მ. დემურიასთან ერთად, ჟურნალ „ნაკადულის“ დაარსებასა და გავრცელებაში. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი (1900-1918).

**ახნაზაროვი არტემ** (1868-1942) – მწერალი, სატირიკოს-იუმორისტი, პოეტი, ფელეტონისტი, მთარგმნელი და ჟურნალისტი (ფსევდ.: ა., ა, ა-ა! ა, ა. სი, ა-ხოვი, ალფა, დუშიკო, დიოგენი, კენტქოსანი, მანოელიძე, ნიორი, ორ-ანი, ფარნაოზი, ჩიორა, შენი დალაქი ესია, შენი დალაქი ხეჩუა).

**გაბრუაშვილი დავით** (1869-1943) – მწერალი. მისი პირველი წერილი დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1897 წელს. 1901 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული. 1905 წელს კი დრამატული პოემა „ბრძოლა არსებობისთვის“.

**გელა ბ.** (გელაზანია ბარნაბ – 18??-?) – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჭიათურის განყოფილების ნამდვილი წევრი (1913-?).

**გენაძე აეტი** (1879-?) – მუშა პოეტი.

**გორგაძე ვასილ** (1895-?) – პოეტი, მთარგმნელი. (ფსევდ.: ცოტნე დადიანი, ვან-გოგი). 1910 წელს მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „ჯეჯილში“. 1910-1920 წლებში თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან: „სახალხო ფურცელი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „განათლება“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.

**დევაძე მიხეილ** (1879-1933) – მუშა მწერალი, რევოლუციონერი და გამომგონებელი. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1917 წელს. მ. დევაძემ, როგორც სოციალ-დემოკრატ-

მა მუშამ, თავისი გამოსვლით, წერილებითა და ლექსებით (უმთავრესად იოსებ იმედაშვილის გაზეთ „ხალხის თავისუფლებასა“ და „თეატრსა და ცხოვრებაში“), ქართველი მუშების თვითცნობიერების ამაღლებას შეუწყო ხელი.

**დვანელი პ.** – მუშა.

**ერთანმინდელი სეზმან** (ბატკუაშვილი სეზმან – 1888-1944) – მწერალი, მთარგმნელი, კორექტორი, გამომცემელი, დრამატურგი და მსახიობი. ცალკე წიგნად აქვს გამომცემული 40-მდე ლექსი, მოთხრობები და პიესები.

**ვაზი ი.** (ვარაზაშვილი ისიდორე – 1882-1945) – ინჟინერი, მენარმე, რკინიგზელი. 1926 წელს ნიკო ნიკოლაძესთან ერთად დააარსა საგამომცემლო საზოგადოება „ქართული წიგნი“. შეეწირა პოლიტიკურ რეპრესიებს. გარდაიცვალა ციმბირში, დაბა ურალსკში.

**ინ-ბანი** (ბარაძე იაზონ – 1869-1937) – მარგანეცის მრეწველთა გაერთიანების ყოფილი დირექტორი, 1902-1921 წლებში სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. 1923 წელს დაპატიმრებულ იქნა შინსახკომის ორგანოების მიერ. დახვრიტეს 1938 წელს.

**კირვალაძე ვასილ** (1862-1933) – მწერალი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

**კოპალი დავით** (კოპალეიშვილი დავით – 1890-1937) – იურისტი, მწერალი. დახვრიტეს 1937 წელს.

**კულაშელი აპოლონ** (ხაჭალია აპოლონ სპირიდონის ძე – (18??-?) – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

**ლადოშვილი გ.** – ტოტოჩავა გერმანე ვლადიმერის ძე.

**ლენხუმელი რ.** (ყიფიანი რუბენ – 1883-1961) – პოლიტიკოსი. (ფსევდ.: ასკრიონელი, ლენხუმელი, რ. ლენხუმელი, მონაფე, რუბენა ლენხუმელი, Р. Кинвари და რალფი). საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. მუშაობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, პარალელურად თანამშრომლობდა პრესასთან.

**ლეონიდე გიორგი (გოგლა) (1900-1966)** – მწერალი, პოეტი, აკადემიკოსი და საზოგადო მოღვაწე. რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალებს „გვირგვინი“ და „ფანდური“. პირველი ლექსი „მცხეთა“ გამოაქვეყნა 1911 წელს გაზეთში „სინათლე“. 1916 წელს დააარსა ლიტერატურული ალმანახი „საფირონი“. 1922-1923 წლებში რედაქტორობდა „ცისფერყანწელთა“ ყოველკვირეულ სალიტერატურო გაზეთ „ბახტრიონს“. მის ცნობილ ნაწარმოებებს შორისაა: „ნინონმინდის ღამე“, „სიმღერა პირველი თოვლისა“, „მყვირალობა“, „ყვიჩაღის პაემანი“, „ყვიჩაღის ღამე“, „ოლე“, „ნატვრის ხე“ და სხვ.

**მგელაძე საფო (გიგინეიშვილი საფო – 1894-1936)** – მწერალი, პოეტი. (ფსევდ.: გურული ქალი, ეწერელი ქალი, მუშა ქალი, სანი). მისი პირველი ლექსი „საქართველო“ დაიბეჭდა 1908 წელს. პირველი წიგნი, პოემა „ბახმარო“, გამოვიდა 1927 წელს. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან: „კავკასიონი“, „ჩვენი გზა“, „ტრიბუნა“, „კომუნისტი“, „ხმა ქართველი ქალისა“, „ლიტერატურული საქართველო“, „პროლეტარული მწერლობა“, „ლომისი“, „ქართული მწერლობა“, „მნათობი“.

**მეგრელი დუტუ (ხოშტარია დიმიტრი – 1867-1938)** – მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. მისი პირველი ლექსი 1888 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „თეატრში“. 1892 წელს გამოქვეყნდა მწერლის პირველი წიგნი „სურათები ჩვენი ცხოვრებიდან“, ხოლო 1893 წელს – მისი ლექსების კრებული „ცრემლები“. მისი ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ“ და მოთხრობა „ქინაქინა“ შესულია ი. გოგებაშვილის „დედაენაში“ და „ბუნების კარში“.

**მეფანდურე შალვა** – იმედაშვილი შალვა.

**მეჩონგურე დ. (ქარცივაძე დავით – 1881-1924)** – პოეტი, რევოლუციონერი, სამხედრო პირი. 1898 წლიდან „მეჩონგურის“ ფსევდონიმით თანამშრომლობდა სოციალისტური მიმართულების ჟურნალ-გაზეთებთან. მისი ლექსები ქვეყნდებოდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. დახვრიტეს 1924 წელს.

**მეჩონგურე სიმონა** (ქვარიანი სიმონ – 1868-1946) – ისტორიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი. 1901 წლიდან აქვეყნებდა წერილებს ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. ავტორი ისტორიული ნაწარმოებებისა: „ქართველი ერის უძველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში“ (1901), „ხეთი და ნაირი“ (1909), „საქართველოს ისტორია“ (1917) და სხვ.

**მინიშვილი ნიკოლოზ** (ნიკოლო) – (სირბილაძე ნიკოლოზ – 1896-1937) – პოეტი. მისი ლექსი „მთებში“ პირველად 1912 წელს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა. 1917 წელს რედაქტორობდა ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა გაზეთს „გოლოს სალდატა“. თანამშრომლობდა სიმბოლისტთა პერიოდულ გამოცემებთან: „მეოცნებე ნიამორები“, „პოეზიის დღე“, „ბახტრიონი“, „ბარიკადი“, „რუბიკონი“. 1921 წელს, მისი რედაქტორობით, თბილისში დაარსდა გაზეთი „ფიგარო“. 1922 წელს თბილისში გამოიცა პოეტის პირველი წიგნი „წმინდანიანი“. 1924 წელს პარიზში ჩამოაყალიბა „ქართველ ხელოვანთა კავშირი“. 1926-1928 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „ქართულ მწერლობას“. უკანასკნელ წლებში რედაქტორობდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“. 1937 წლის 2 ივნისს დააპატიმრეს და 13 ივლისს დახვრიტეს.

**მოსაშვილი ილო** (1896-1954) – დრამატურგი, მთარგმნელი, მწერალი, პოეტი და სცენარისტი. 1911 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი გაზეთ „სინათლეში“. აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს, პიესებს. ასევე წერდა ნაწარმოებებს ბავშვებისთვის. თარგმნა შვეჩენკოს, ფრანკოს, მაიაკოვსკისა და ესენინის ნაწარმოებები.

**მღვიმელი შიო** (ქუჩუკაშვილი შიო – 1866-1933) – საბავშვო პოეტი, ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1885 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „დილა“. 1891 წელს მისი ლექსები გამოიცა ცალკე წიგნად. დამოუკიდებლობის პერიოდში მისი ნაწარმოებები ქვეყნდებოდა სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთში „სახალხო საქმე“. თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „პიონერი“.



**მჭედლიშვილი იოსებ (1888-1956)** – მწერალი. მისი პირველი ლექსი „ვერ შამაშინებს მტარვალის რისხვა“ 1906 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ზარში“. მას შემდეგ მისი ლექსები და მოთხრობები ქვეყნდებოდა პერიოდულ გამოცემებში: „სახალხო საქმე“, ჟურნალი „ნაკადული“, „ჯეჯილი“ და „ნიშადური“. ავტორია ნაწარმოებებისა: „მსოფლიო გრგვინვაში“, „მწყემსის წერილები“, „შვიდნი ძმანი ხევსურნი“, „ჯვარცმული ლეგენდა“ და სხვ.

**რუშაველი ფ.** – მგელაძე ფილიპე.

რუხაძე ვარლამ (1874-1935) – მწერალი, პოეტი. ლექსებს აქვეყნებდა გაზეთებში: „კვალი“, „მოამბე“, „თანამედროვე აზრი“ და სხვ. გამოსცა კრებულები: „ცისკარი“, „თაიგული“, „ზღაპრები და არაკები“, „ცხოვრების ყვავილები“, „რჩეული ლექსები“. წერდა საბავშვო თხზულებებს, თარგმანა ალექსანდრე პუშკინის პოემები. დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმისა და თბილისის განყოფილებათა წევრი.

**საჯავახოელი (ხუნდაძე რაჟდენ – 1845-1929)** – ლიტერატურათმცოდნე, პოეტი, სასულიერო პირი. (ფსევდ.: საჯავახოელი, საჯაოხელი, ქართველიშვილი). 1885-1912 წლებში გამოსცა ქართული სასულიერო საგალობლის ათზე მეტი კრებული, მათგან აღსანიშნავია: „შემოკლებული საეკლესიო ტიბიკონი“, „ღვთისმშობლის მიძინების სვინაქსარი“, „ქართული საეკლესიო გალობა გურულ-იმერულ კილოზე“, „ქართული გალობა“. აქვეყნებდა ლექსებს და პუბლიცისტურ წერილებს ქართულ პერიოდულ გამოცემებში: „ივერია“, „მწყემსი“, „კოლხიდა“, „განათლება“, „ჩვენი ქვეყანა“.

**სიხარულიძე ილია (1889-1963)** – პოეტი, პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი. მისი პირველი წიგნი „საბავშვო თამაშობანი ლექსად“ გამოქვეყნდა 1925 წელს. მისი საბავშვო იგავ-არაკები ქვეყნდებოდა ჟურნალებში „ჯეჯილი“ და „ნაკადული“.

**ტაბიძე გალაკტიონ (1891-1959)** – პოეტი და საზოგადო მოღვაწე. 1914 წელს დაიბეჭდა მისი ლექსების პირველი

კრებული. 1919 წელს ახალდაარსებულ ჟურნალში „თეატრი და მუსიკა“ დაიბეჭდა გალაკტიონის წერილი „თეატრები“. 1919 წელს გამოსცა ლექსების მეორე კრებული „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ („არტისტული ყვავილები“). 40-იანი წლებიდან გალაკტიონი აქვეყნებს ლექსებს: „ლურჯა ცხენები“, „მთანმინდის მთვარე“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, „ნიკორწმინდა“ და სხვ. 1921 წლიდან რედაქტორობდა ჟურნალ „ლომისს“, 1922-1923 წლებში დააარსა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, იყო „მნათობის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. 1925 წელს ჟურნალ „მნათობის“ მეათე ნომერში დაიბეჭდა მისი ასი ლექსი. 1927 წელს გამოვიდა მისი ლექსების ერთტომეული, ერთჯერადი გამოცემა „გალაკტიონი“, რომელშიც გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები და წერილები იყო დაბეჭდილი.

**ქუჩიშვილი (ჩხეიძე) გიორგი (1886-1947)** – ქართველი საბავშვო მწერალი. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1906 წელს. აღსანიშნავია მისი ლექსების ციკლი „ქუჩის სიმღერები“, მინიატიურები „უსახელო“, „საცოდავი“. გ. ქუჩიშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საბავშვო ლექსები: „აღტაცება“, „პანია მეგობრები“. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ სამწერლობო საქმიანობას. ქართულ პრესაში გამოქვეყნდა მისი ლექსები: „შალვა დადიანს“, „სიმღერა“. ლექსი მიუძღვნა მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას.

**ყიფიანი ვარდენ** (ფსევდ.: ღვანკითელი).

**შანიძე აკაკი (1887-1987)** – ენათმეცნიერი. ი. ყიფშიძესა და გ. ახვლედიანთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ენათმეცნიერულ კვლევებს. შანიძის ადრეული ენათმეცნიერული გამოკვლევები თავმოყრილია ნაშრომში „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც გამოიცა 1930 წელს და არის ახალი ქართული ენის პირველი მეცნიერული გრამატიკა. 1919 წელს დამფუძნებელი კრების არჩევნებში კენჭს იყრიდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის სიით, იყო საკანდიდატო სიის 33-ე ნომერი. იყო თბილისის ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

**ჩლაიძე ვარლამ (1883-?)** – მწერალი, კოპპერატორი.

**ნერეთელი (კაკი) ირაკლი (1881-1959)** – პოლიტიკური ლიდერი, პუბლიცისტი. „მესამე დასის“ იდეური სულის-ჩამდგმელი და მისი ყოველკვირეული პოლიტიკური ორგანოს, „კვალის“ დამაარსებელი. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ეროვნული მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, საფრანგეთში ემიგრაციაში წავიდა. საერთაშორისო კონგრესებზე სიტყვით გამოდიოდა და იცავდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. იყო მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. **1940** წელს ი. ნერეთელი საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა და იქ გარდაიცვალა, ჩაუტარდა კრემაცია. **1973** წელს მისი ფერფლი ლევილის ქართველთა სასაფლაოზე გადაასვენეს და იქ დაკრძალეს.

**ნულაძე ლავრენტი (1867-1923)** – მწერალი, პედაგოგი და სასულიერო პირი. (ფსევდ.: დათიკო ვერმიცანაშვილი). **1883** წელს საკუთარი სკოლა დააარსა სოფელ სურებში. **1886** წლიდან გახდა გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი. **1894** წლის სექტემბერს ქ. ფოთში დააარსა სამრევლო სკოლა. **1917** წლამდე მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ფოთის ქალთა გიმნაზიაში და სამოქალაქო სასწავლებელში, განაგრძობდა კორესპონდენტობას იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში, განსაკუთრებით ხშირად ათავსებდა წერილებს სახალხო განათლების საკითხებზე ჟურნალ „განათლებაში“. **1917** წელს გადავიდა მშობლიურ სოფელში და განაგრძო მასწავლებლად და სკოლის გამგედ მუშაობა აკეთის უმაღლეს-დანწყებით სკოლაში.

**ჭანჭათელი დ.** – გოგუაძე დათიკო.



